შიდაქი

SHIRAKI

www. open.ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№20 (9.685)

6 – 13 ივნისი 2015 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

გამარჯვებაში სამების ტაძარი შენდება

სოფელი გამარჯვება საბჭოთა წყობილების დროს, გასული საუკუნის ოცდაათიან წლებში, შეიქმნა. მანამდე ის, ძირითადად, მირზაანელების საზაფხულო საცხოვრისს წარმოადგენდა. აქ იყო მარცვალეული კულტურების გასაალენი კალოები. მირზაანელებმა აქ დასახლება უწყლოობის გამო გადაწყვიტეს. ჯერ კომუნა, მერე კი კოლმეურნეობაც ჩამოყალობდა. ადრე ამ ადგილს უზუნდარას უწოდებდნენ, რაც თათრულად გრძელ (უზუნ) ხევს (დარა) ნიშნავს. ლეგენდა კი მოგვითხრობს, რომ შემოსეულ მტერს ადგილბრივები ისე მედგრად შეებძოლნენ, რომ ხევს აქეთ ფეხი არ დაადგმევინეს. გრძელი ხევის გადმოლახვა რომ ვერ შეძლეს, მტერი უკუაქცია. ეს ლეგენდა დღემდე შემორჩა სოფელს. სოფელმა საერო ცხოვრების ყველა პერიოდი წარმატებით გაიარა: – შრომობდნენ და სოფელიც თანდათან წინ მიდიოდა: აშენდა სკოლა, სამედიცინო პუნქტი, საბავშვო ბაღი, კულტურის სახლი და მოსახლეობის საცხოვრისი ქოხმახები ორსართულიანმა, კაპიტალურმა სახლებმა შეცვალა. პატარა სოფლის ქიზიყელ მოსახლეობას გასული საუკუნის ორმოცდაათიან წლებში მთიდან ჩამოსახლებული ხევსურები შემოუერთდნენ, რამაც სოფლის კიდევ უფრო გაძლიერებას შეუწყო ხელი. ნლობით თავკაცობდნენ სოფელს ლეგენდარული ივანე ფიროსმანაშვილი (წყალწყალა) და სოციალისტური შრომის გმირი, ნოვატორული ნიჭით დაჯილდოებული ვანო ფიროსმანაშვილი. ეს ყველაფერი ფიზიკური და ეკონომიკური კუთხით აღმასვლას ნიშნავდა, მაგრამ სულიერება და ქრისტიანული რწმენა სრულად იყო იგნორირებული. იმის გამო, რომ სოფელი ახლადაშენებული იყო, მას ისტორიულად არ შემორჩენია ეკლესია, თუ არ ჩავთვლით სოფლის მიმდებარე ტყეში, გორაზე შუა საუკუნეების დროინდელი ზღუდერის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის ნანგრევებს, რომელსაც მოსახლეობა დამახინჯებულად „ზღმურდლის“ სახელწოდებით მოიხსენიებოდა. ათეისტური წყობის და პროპაგანდის გამო იქ არანაირი რელიგიური დღეასაწაული არ იმართებოდა. ახალ თაობებს გვარწმუნებდნენ, რომ ეს წარმართული დროის ნიშის ნანგრევები იყო, სადაც ეშმაკები ბუდობდნენ. ამით ცდილობდნენ, ჩვენთვის შიში ჩაენერგათ, რომ იმ ადგილას არ მივსულიყავით და დროთა განმავლობაში მისი არსებობა წაშლილიყო მომავალი თაობის მეხსიერებაში. მას მერე ბევრმა წყალმა ჩაიარა, წარსულს ჩაბარდა კომუნიზმის მშენებლობა. დღეს ჩვენ თავისუფალი ქვეყნის შვილები ვართ და ჩვენი აღმსარებლობაც თავისუფალია. ხალხი უფლის რწმენას დაუბრუნდა. ახლა ეკლესია-მონასტრების მშენებლობის ბუმია საქართველოში. სოფელ გამარჯვების ცენტრში, ორი საგანმანათლებლო დაწესებულების – საბავშვო ბაღისა და საჯარო სკოლის შუაში სულიერი ტაძარი შენდება. ზუსტად ორი წლის წინ, 2013 წლის ივნისში, დაიწყო სამების სახელობის ეკლესიის მშენებლობა. ამას სათავეში ამ სოფლის მკვიდრი მამა იოანე ჩაუდგა. ერობაში ვასილ გივიშვილი საკმაოდ წარმატებული ახალგაზრდა იყო. დაამთავრა სამხედრო აკადემია და კარგ თანამდებობასაც პირდებოდნენ მაგრამ... ცხოვრების არსის შეცნობა ადამიანებმა ნებისმიერ ასაკსში შეიძლება გაიაზრონ. ვასილმაც საეკლესიო ცხოვრება აირჩია, თავი უფალს მიუძღვნა და ბერად აღიკვეცა. ეს ყველაფერი ბევრი ფიქრის, განსჯის და ნებისყოფის ნვრთნის შემდეგ მოდის. ის სხვადსხვა ეკლესიაში მოღვაწეობდა, ახალი ტაძრების მშენებლობაში ღებულობდა მონაწილეობას, ბოლო რამდენიმე წელი ნეკრესში გაატარა და 2013 წელს მშობლიურ სოფელს დაუბრუნდა. ეკლესიის აშენების მოთხოვნილება სოფელს კარგა ხანია გაუჩნდა, მაგრამ თავის მომბმელი ვერ მოინახა. სოფლის რწმუნებულმა გიორგი ჭინჭარაულმა და მამა იოანემ მხარი მხარს მისცეს და ეს დიდი და სანუკვარი საქმეც დაიწყო. თანხების მოსაძიებლად ქალაქ დედოფლისწყაროს კულტურის სახლში საქველმოქმედო კონცერტი ჩატარდა, სოფლიდან დედაქალაქში წასულმა ახალგაზრდებმაც გამოიღეს ხელი. პირველი შემომწირველი ლევან გიგაური გახდა, რომელმაც თავის თვზე აიღო საძირკველის ჩასხმა. მას თამაზ ფიროსმანაშვილი და სულ ახლახანს კობა ჭინჭარაულიც შეუერთდნენ. ისინი სამშენებელო მასალებით ამარაგებენ მშენებლობას. ცოტ-ცოტა შემოწირულობას სოფლის მოსახლეობაც ცდილობს. ისინი, ძირითადად. ფიზიკურად ეხმარებიან მშენებლებს. ყველა მუშაობს - ქალი თუ კაცი. მუშებს სოფლის მოსახლეობა კვებავს - იციან, ხვალ ვისი რიგია და საჭმელ-სასმელით უზრუნველყოფს მათ. ერთი სიტყვით, სოფელი ერთ მუჭადაა შეკრული და, ხომ გაგიგონიათ, „ბევრი ხელის ჭირიმე და ერთი პირისაო“ (ბევრს ჰგონია, რომ ამ ანდაზაში „ერთი პირი“ პირდაპირი მნიშვნელობით „ერთ მჭამელს“ ნიშნავს, არადა, აქ უფრო ღრმა აზრია ჩადებული: „ერთი პირი“ ერთ აზრზე დგომას, ერთსულოვნებას გულისხმობს). სწორედ ამ „ერთი პირის“ მეშვეობით ტაძრის კედლები თანდათან მაღლდება. მას დღემდე გამოცდილი კირითხურო, ეკლესიის მშენებლობაში ხელგაწაფული ზაურ გონაშვილი აშენებდა. სოფელი მადლიერია მისი. ბატონი ზაური ამჯერად შეუძლოდ გახლავთ. მას, ჯერჯერობით, მშენებლობის გაგრძელება არ შეუძლია. ამიტომ მამა იოანემ ახალი მშენებლები მოიწვია და, ცოტა ხნის შეფერხების შემდეგ, მშენებლობა კვლავ განახლდა. მამა იოანე მრევლს სულიერ საზრდოს ყოველდღიურად ანვდის. ყოველდღე, საღამოს 6 საათზე, ის პარაკლისს იხდის. ზამთარსა და უამინდობაში საკრებულოს შენობაში არსებულ სამლოცველოში ლოცულობენ, დარში კი – მშენებარე ეკლესიაში. მრევლის რაოდენობა დღითიდღე იზრდება. პატარა სტიქაროსნებიც მომრავლდნენ. განსაკუთრებით აქტიურობენ ახალგაზრდები, რაც ორმაგად სასიხარულოა. ისინი მშენებლობაშიც არიან ჩართულნი და მამაოს გვერდში უდგანან.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მამა იოანეს ხელმძღვანელობით ზღუდერის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიასთან მისასვლელი გზა, შეძლებისდაგვარად, გაინმინდა, მოწესრიგდა ნანგრევების გარშემო ტერიტორია და იქ წელიწადში ორჯერ – გიორგობის დღესასწაულზე, ტარდება წირვა და მრევლი აქტიურად ღებულობს მონაწილეობას. როგორც მამა იოანემ განგვიმარტა, ამ ეკლესიის აღდგენა უკავშირდება როგორც ფინანსებს, ასევე კულტურის სამინისტროს ნებართვაა საჭირო მისი რეაბილიტაციისათვის, რადგან ძეგლი შესულია კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში და სწორედ სამინისტროს ექვემდებარება.

31 მაისს, კი სამების ბრწყინვალე დღესასწაულის დღეს, გამარჯვებაში დიდი თავყრილობა გაიმართა. ეს დღე სოფლის დღესასწაულად გამოცხადდა. ამიერიდან ყოველი წლის სამებობა აქ გამორჩეულად აღინიშნება. იმ დღეს, სოფლის მოსახლეობასთან ერთად, ბევრმა სტუმარმა მოიყარა თავი. აქ იყვნენ ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქიის ეპისკოპოსი მეუფე დიმიტრი, სამღვდელოებასთან და სამონაზვნო მსახურებთან ერთად. მეუფემ პარაკლისი გადაიხადა, რომელსაც უამრავი მრევლი ესწრებოდა. გამარჯვებელებს ეს დღე მიულოცა კახეთის გუბერნატორმა ირაკლი შიოლაშვილმა, მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი და საკრებულოს თავჯდომარე, ამ სოფლის მკვიდრი ზვიად ჯავახიშვილი, გამგეობის და საკრებულოს თანამშრომლებთან ერთად სტუმდობდნენ სოფელს. დედაქალაქიდან ამ დღის მოსალოცად ჩამოვიდნენ ცნობილი ჟურნალისტი და ტელენამყვანი, პროექტ „ეტალონის“ ხელმძღვანელი, დედოფლისწყაროს საპატიო მოქალაქე გორა ტყეშელაშვილი და სხვადასხვა სამინისტროს თუ უწყების წარმომადგენლები. დამსწრეთა გულწრფელი ოვაცია გამოიწვია ჰერეთიდან ჩამოსულმა ფოლკლორულმა ანსამბლმა „ჰერულამ“, მიკროფონთან ერთმანეთს ენაცვლებოდნენ სოფლის ახალგაზრდული ვაჟთა გუნდი და ინდივიდუალური შემსრულებლები, თავიანთი შემოქმედება შესთავაზეს დამსწრეთ დებმა ლოლაშვილებმა. პარაკლისის შემდეგ გაიმართა ტრაპეზი, რომელსაც ყველასათვის საყვარელი მოძღვარი, დედოფლისწყაროს საპატიო მოქალაქე დეკანოზი ნიკოლოზი უძღვებოდა. მან თავის გამოსვლაში ბრძანა:- სოფელი გამარჯვება ჩვენი მუნიციპალიტეტის პირველი სოფელია, რომელიც დედაქალაქიდან მომავალ სტუმარს ხვდება. თავისი მშვენიერი ბუნებით და კაკლის ხეივნით იგი დადებით შთაბეჭდილებას ახდენს, მაგრამ დღეს ამას ემატება ის დიდი მადლი, რომელსაც ასე თვალსაჩინოდ სოფლის ცენტრში აღმართული სამების ტაძარი გასცემს სტუმრიათვისაც და ადგილობრივებისთვისაც. გილოცავთ ტრადიციული დღესასწაულის დამკვიდრებას. სამების მადლი არ მოგკლებოდეთ.

ჩვენ მამა იოანესაც გავესაუბრეთ: - „დღეს სოფელ გამარჯვებისთვის და სრულიად ჩვენი რაიონის მაცხოვრებლებისთვის ისტორიული დღეა. ამ ტაძრის აშენება ჩვენი სოფლისთვის მართლაც დღესასწაულია. დღეს სამებობაა, ამასთან სულთმოფინობა და სიმბოლურია, რომ სოფელმა ტრადიციულ დღესასწაულად სწორედ ეს დღე აირჩია, რადგან ეს ტაძარი სამების სახელზე შენდება. ამიერიდან ყოველი წლის მაისის თვეში სამებობის დღეს ჩვენი ხალხი ერთად მოიყრის თავს ტაძართან. მიხარია, რომ ასეთ ისტორიულ დღეს შევესწარი მშობლიურ გამარჯვებაში, მიხარია ისიც, რომ უფალმა მე მარგუნა ამ ტაძრის წინამძღვრობა და ეს აორმაგებს ჩემი სულის და გულის ზეიმს.“

- მიხარია, ამდენ სტუმარ-მასპინძელს რომ ვუყურებ. ჩემი სურვილი და სოფლის მოსახლეობის სურვილი ერთმანეთს დაემთხვა: - გვინდოდა, დანესებულიყო გამარჯვებელთა ტრადიციული დღესასწაული. დღე, როდესაც ყველა, დიდი თუ პატარა, ადგილობრივი თუ სოფლიდან წასული, თავს მოიყრის ამ ტაძრის ეზოში და უფლის სადიდებელს აღავლენს. დიდი მადლობა ყველა სტუმარს მობრძანებისთვის, მადლობა რაიონის ხელმძღვანელობას ამ დღის ორგანიზებაში ხელშეწყობისთვის, მადლობა სოფელს, რომელიც გვერდში დაგვიდგა და თავისი წვლილი შეიტანა, რათა ღირსეულად გავმასპინძლებოდით სტუმრებს. ვფიქრობ, ყველაფერმა კარგად ჩაიარა. ამიტომ მეც კმაყოფილი ვარ, - თქვა ჩვენთან საუბარში გამგებლის რწმუნებულმა სოფელ გამარჯვებაში გიორგი ჭინჭარაულმა.

მრავალ სამებობას დაესწარით, გამრავლდით და გაიხარეთ, უფლის წყალობა არ მოგკლებოდეთ ჩემო თანამემამულენო, ჩემო გამარჯვებელებო!

ნარა გორაშვილი

P.S. ბევრი ვიფიქრე, შევხებოდი თუ არა ერთ საჩოთირო თემას ამ წერილის ბოლოს. მაინც მინდა ვთქვა, რომ მთელი დღის განმავლობაში ეკლესიის ეზოში იდგა შესაწირი ყუთი, რომლის გახსნის შემდეგ იქ მხოლოდ 200 ლარი აღმოჩნდა. „მცირედიც შეიწირებისო“, ვამბობთ, მაგრამ, მე პირადად, გული დამწყდა ასეთი მცირე თანხის გამო. ეს ჩემი ინდივიდუალური აზრია, რომ ასეთ წმინდა ადგილზე მოსულმა სტუმარმა თუ მასპინძელმა თავი ვალდებულად უნდა იგრძნოს, შეეწიოს ამ საშვილიშვილო საქმეს. რა თმა უნდა, ათასი ლარი და მეტიც რომ მოგროვილიყო, ასეთი მასშტაბის მშენებლობისათვის ეს ბევრს არაფერს შესცვლიდა ეკონომიკური თვალსაზრისით, ეს უბრალოდ, მორალია, ასე მგონია მე. ზოგადად კი, ძალიან ბედნიერი ვარ, როგორც ამ სოფლის გაზრდილი ამ დღეს რომ მოვესწარი.

ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიას ევროპული დიპლომი მიენიჭა

საქართველოს და ლევან გოთუას ვარამი

გვ.3

გაქვთ ტელევიზორი? – მაშინ ეს აუცილებლად უნდა წაიკითხოთ!

„დედოფლისწყაროს საათი“

C M Y K

ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიას ევროპული დიპლომი მიენიჭა

არცერთი ქართული ნაკრძალი ევროპულ დიპლომს არ ფლობს, ვაშლოვანი პირველია

2015 წლის 3 ივნისს, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის სხდომაზე მიღებულ იქნა ევროპის საბჭოს განათლებაზე, კულტურაზე, სპორტზე, ახალგაზრდობასა და გარემოს დაცვაზე მომხსენებელი ჯგუფის (ჩღ-ჩ) 26 მაისის გადაწყვეტილება ვაშლოვანის დაცული ტერიტორიებისთვის ევროპული დიპლომის გადაცემის შესახებ.

დიპლომის მინიჭების შესახებ ინფორმაცია გაზეთ „შირაქს“ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში დაუდასტურეს. აღსანიშნავია, რომ ევროპული დიპლომი ევროპული ქვეყნების 73 დაცულ ტერიტორიას აქვს მინიჭებული. ვაშლოვანი პირველია, რომელმაც ამ დიპლომის მოპოვება შეძლო.

ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების (ვაშლოვანის სახელმწიფო ნაკრძალი, ვაშლოვანის ეროვნული პარკი, და სამი ბუნების ძეგლი: ტახტი-თეფას ტალახის ვულკანი, ალაზნის ჭალის ტყე და არწივის ხეობა) ევროპული დიპლომის კანდიდატად წარდგენა მოხდა დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ, 2014 წლის დასაწყისში.

აღნიშნული დიპლომი 5 წლის ვადით გადაეცემა ევროპაში დაცულ ტერიტორიებს, რომლებიც გამოირჩევიან სამეცნიერო, კულტურული ან ესთეტიკური ღირებულების თვალსაზრისით და წარმოადგენენ ბუნების საუკეთესო კონსერვაციის მაგალითს.

საფრანგეთში, ქალაქ სტრასბურგში დაცული ტერიტორიებისათვის ევროპული დიპლომის მინიჭების თაობაზე სამუშაო შეხვედრა 13 მარტს გაიმართა.

მნიშვნელოვანია, რომ ევროპული დიპლომი ევროპული გამოცდილების მიღებასთან ერთად, ხელს შეუწყობს საქართველოში ნაკრძალების დაცულობის ხარისხის მატებას, მათ საერთაშორისო დონეზე აღიარებასა და პოპულარიზაციას.

ევროკავშირის ექსპერტები დედოფლისწყაროს გასული წლის ოქტომბერში სტუმრობდნენ. მათ ნაკრძალის პოტენციალი ადგილზე შეისწავლეს და შესაბამისი მონაცემები საფრანგეთში ჩაიტანეს. ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია და დედოფლისწყაროს გამგეები მიიჩნევენ, რომ ევროპული დიპლომის მინიჭების შემდეგ დედოფლისწყაროში ვიზიტორთა რიცხვი გაიზრდება.

დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე დიმიტრი ბერიძე ამბობს, რომ ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციას ევროპული დიპლომი ივლისის ბოლოს გადაეცემა. მისი თქმით, ვაშლოვანის ნაკრძალი საქართველოში პირველი დაცული ტერიტორიაა, რომელმაც ევროპული დიპლომის მოპოვება შეძლო.

„შირაქი“ დაინტერესდა, რას გულისხმობს ვაშლოვანის დაცული ტერიტორიებისთვის ევროსაბჭოს დიპლომის მინიჭება.

„დიპლომი ძალიან მნიშვნელოვანია ცნობადობისთვის. ეს ტურისტების მოზიდვას შეუწყობს ხელს. რა თქმა უნდა, დონორებთან ურთიერთობისთვის და ფინანსების მოსაზიდადაც მნიშვნელოვანია. ადგილობრივი პროდუქციისთვის, თუ ევროსტანდარტებით აწარმოებენ — იქაური მატყლი, ყველი, ან თაფლი და ასე შემდეგ — შესაძლებელი იქნება მისთვის ევროდიპლომის ემბლემის მინიჭება, რაც კიდევ უფრო გაზრდის პროდუქტის ევროპაში გასვლის შანსებს.

ევროდიპლომის გადაცემა გულისხმობს ევროსტანდარტების არსებობას დაცულ ტერიტორიაზე. ევროკავშირის ექსპერტებმა შეისწავლეს ვაშლოვანის დაცული ტერიტორია და მოამზადეს ანგარიში. ნახეს სტეპების და უდაბნოს სინთეზი, ცხოველთა სამყარო და მცენარეული საფარი. შეამოწმეს, მენეჯმენტის გეგმა არსებობდა თუ არა, რამდენად მდგრადი დაფინანსება აქვს დაცულ ტერიტორიას. დიპლომის მისანიჭებლად ტერიტორია აუცილებლად უნდა გამოირჩეოდეს ბიომრავალფეროვნებით. ეს ყველაფერი შეჯამდა. გავიდა ევროკომისიაზე, სადაც დაცული ტერიტორიების წარმომადგენელი და ეროვნული პარკის წარმომადგენელი ვიყავით მიწვეული. იყო დებატები ამ საკითხთან დაკავშირებით. გამოკვეთეს რისკები, წამოგვიყენეს პიროობები. მათ სურდათ, ცხვრის ძოვების შეიზღუდვა. ჩვენ ჩვენი პოზიცია დავიცავით, ვუთხარით, რომ ცხვარი იქაური ეკოსისტემის ნაწილია, ტრადიციული მეურნეობაა. ამაზე ბევრი მხარდამჭერი გვყავდა ევროკომისიაში.

მათ მოგვცეს რეკომენდაციები, რომ შევინარჩუნოთ მდგრადი განვითარება, ადგილობრივი პერსონალისთვის ჩავატაროთ ტრენინგები. ევროკავშირს აქვს ვაშლოვანის ტერიტორიებთან დაკავშირებით პროექტი, რომელიც გულისხმობს საძოვრების მართვის გეგმის შემუშავებას, რომ გადაძოვება არ მოხდეს და გაუდაბნოების საშიშროება არ შეიქმნას. ევროკავშირის ამ პროექტმა გააძლიერა ჩვენი პოზიციები: უნდა იყოს მდგრადი ძოვება, მაგრამ არ უნდა აიკრძალოს.

პირველი პრეცენდენტია ვაშლოვანის დაცული ტერიტორია. შარშან როდესაც მივიღეთ შეთავაზება, რომელს ავირჩევდით ამ სტატუსის მისანიჭებლად, გადავწყვიტეთ ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებისთვის განკუთვნილიყო აღნიშნული დიპლომი. ივლისის ბოლოსკენ ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ვიზიტორთა ცენტრში, დედოფლისწყაროში, გაიმართება დიპლომის გადაცემის ცერემონია. მთელ საქართველოს ვულოცავ ამ დიპლომს, რადგან ეს არის კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი ევროპისკენ,“ — აღნიშნავს დიმიტრი ბერიძე.

ვაშლოვანის დაცული ტერიტორიები მდებარეობს საქართველოს უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში, დედოფლისწყაროს რაიონში. იგი მოიცავს ვაშლოვანის ნაკრძალს, ეროვნულ პარკსა და სამ ბუნების ძეგლს - არწივის ხეობას, ტახტი-თეფას ტალახის ვულკანებსა და კაკლისყურის ალაზნის ჭალის ტყეს. მისი ტერიტორია მოიცავს პანტიშარა-ვაშლოვანის მასივს, რომლის სიმაღლე ზღვის დონიდან 300 - 600 მეტრს შორის მერყეობს. საკმლის ხის ვაშლის ხესთან ბუნებრივი მსგავსებისა და ხეთა განლაგებიდან, რაც ხეხილის ბაღის ასოციაციას იწვევს, გამომდინარეობს სახელწოდება „ვაშლოვანი“. მისი საერთო ფართობი 35053,7 ჰექტარს შეადგენს.

ილია მარტყოფლიშვილი

საქართველოს და ლევან გოთუას ვარამი

ხშირად გმირებს შორეულ წარსულში ვეძებთ, არადა ჩვენ გვერდით არიან ერის ჯვარისმტვირთველნი, რომელთა ცხოვრებაც უფრო ლეგენდას ჰგავს, ვიდრე სინამდვილეს, სწორედ ასეთი კაცი იყო ლევან გოთუა.

თითქმის მეოთხედი საუკუნე, ცხოვრების 66 წლიდან 22 წელიწადი შორეულ ჩრდილოეთში, "მავთულსიქითა" სამყაროში გაატარა. "განცვიფრებას იწვევს, როგორ გაუძლო მან საკონცენტრაციო ბანაკებში გამეფებულ არაადამიანურ პირობებს და მაინც ბოლომდე დარჩა სულიერად სპეტაკ ადამიანად. ან როგორ შეძლო "სიკვდილ-მისჯილთა საკანში" მრავალგზის ჩაბორკილმა, ასეთი ამაღლებული მემკვიდრეობის შექმნა, რომელმაც ხალხის ჭეშმარიტი სიყვარული მოუპოვა", - ამბობს სპელეოლოგი და ჟურნალისტი, ბატონი ჯუმბერ ჯიშკარიანი, რომელსაც, მიუხედავად ასაკობრივი სხვაობისა, მწერალსა და მთამსვლელ ლევან გოთუასთან 13-წლიანი მეგობრობა აკავშირებდა.

დაბადებულა 1905 წლის 10 მარტს პართენ გოთუასა და სოფიო კემულარიას ოჯახში. პართენ გოთუას, სამშობლოს "ფხიზელსა და ერთგულ დარაჯს" უწოდებდა იოსებ იმედაშვილი. მოსიყვარულე მშობლების ხელში ნეტარებით გაიარა ბავშვობამ. დასრულდა ეს უშფოთველი ხანა და საქართველოს წითლები შემოესივნენ. კოჯრისა და უძოს მიდამოებში ბრძოლები მძვინვარებდა. ლევანი და მისი უფროსი ძმა არჩილი ომში გაიპარნენ. 7 დღის შემდეგ დაბრუნდნენ. აღელვებულნი გაიძახოდნენ: - ძმათა სასაფლაოში თორმეტი ვაჟკაცი ქართველი ერთად ჩავასვენეთო. მალე საქართველოში ბოლშევიკები გაბატონდნენ, დაიწყო ტერორი. დადგა 1924 წლის აგვისტო. ბოლშევიკთა წინააღმდეგ ჩაფიქრებული აჯანყება გასცეს. ლევანი აიყვანეს. სამეულმა დახვრეტა მიუსაჯა. სულზე მიუსწრო ახალციხის მაზრის მილიციის უფროსმა და დახვრეტას გადაარჩინა, შემდეგ კი თბილისში გამოგზავნა. ლევანის მამა, პართენიც დააპატიმრეს. მამა-შვილი ციხეში შვიდი თვე იჯდა. პართენი ორჯერ გააღვიძეს შუაღამისას და ვითომ შეცდომით, ლევანის მაგივრად გაიყვანეს დასახვრეტად. მე მომკალით, ოღონდ ჩემი შვილი დაინდეთო, - ღრიალებდა მამა...

გაიარა საშინელმა 1924-მა წელმა. ლევანი თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტი გახლდათ. 1925 წლის ზაფხულში ოჯახი აბასთუმანში ისვენებდა. ერთ ღამეს ჩეკისტებმა ლევანი დააპატიმრეს, ამჯერად რომელიღაც სტუდენტური ორგანიზაციის მეთაურობა დაჰბრალდა. 3 წლით ციხე მიუსაჯეს გადასახლებით. ისე სწრაფად გააყოლეს ეტაპს, რომ ახლობლებმა ნახვაც ვერ მოახერხეს. ოცი წლის "სამშობლოს მოღალატეს" სხვა ქართველებთან ერთად შორეულ ჩრდილოეთში, სოლოვკის კუნძულებზე უკრეს თავი. აქ ბოლშევიკებს მამათა მონასტერი ციხედ გადაექციათ. ქართველები ბნელ, ჩამყაყებულ სარდაფში შეყარეს სისხლის სამართლის დამნაშავეებთან ერთად. 1927 წელს მოხდა სასწაული - ლევანის საქმეს გადახედეს და პატიმრობა თავისუფალი გადასახლებით შეუცვალეს.

> ლევან გოთუას ბარათებიდან:
>
> "...ისევ შორეული მხარე და მარტოობა, თითქოს განგებას შემოწერილი მაქვს. რა ვქნა, რა გზას დავადგე, ვერაფერი ვერ შევძელი, რაც არის, არის..."
>
> "ჩემდა საბედნიეროდ, მოსკოვმა ჩემს მიმართ ადამიანობა გამოიჩინა - დახვრეტა შემიცვალა და ათი წელი ამკიდა მძიმე გამასწორებელ ბანაკში გადასახლებით, როგორც გამოუსწორებელ, მძლავრ პოლიტიკურ მოღვაწეს..."
>
> "ვის დასჭირდა ჩემი გაძევება და რატომ? მალე წავა მატარებელი და უმოწყალოდ დამაშორებს საყვარელ სამშობლო-საქართველოს. ძნელია ეტაპში წასვლა, მაგრამ რას ვიზამთ? ისეთ საშინელ გარემოცვაში ვართ, სადაც სიმართლე არ ფასობს!"
>
> სოლოვკების, ნარიმის, ბიისკის ბანაკების შემდეგ ლევან გოთუა ვორკუტაში აღმოჩნდა - საკონცენტრაციო ბანაკში, რომელსაც მწერალი ნადირებით სავსე ბუნაგს უწოდებს. იმ "ბუნაგში" მეფობდა არაადამიანური პირველყოფილი ყოველგვარი სიდუხჭირე, წამება და წვალება, მორალური თუ ფიზიკური განადგურება. იქ პატიმრები ყოველგვარ უფლებას მოკლებული მონები იყვნენ: "ვერც კი წარმომიდგენია, საიდან მოდის ეს სისასტიკე და გესლი. მე მიკვირს, კაცს, რომელმაც რა არ გადავიტანე".

ლევან გოთუას ბარამი ერთხელ ჩეკაში უნდა გამოცხადებულიყო, თორემ ისევ დააპატიმრებდნენ. უფროსი ძმის გარდაცვალება რომ შეატყობინეს, რაღა გაჩერებდა! თბილისში რამდენჯერმე ჩამოსულა მალულად, ყოფილა არჩილის საფლავზე, მამაც უნახავს, შინ კი არ მისულა.

გაიარა გადასახლების სამმა წელმა და სასჯელი კიდევ სამი წლით გაუხანგრძლივეს. ვლადიკავკაზში დაიწყო ლევან გოთუამ ლიტერატურული მოღვაწეობა. ხატვა და ძერწვაც ემარჯვებოდა. მისი გამოძერწილი შოთა რუსთაველი დიდხანს ამშვენებდა სკოლის დარბაზს. ვლადიკავკაზში ცხოვრებამ ლევანს მთები შეაყვარა და ალპინისტობაც დააწყებინა... გადიოდა წლები. თავს იმშვიდებდა, - ჩემი მასწავლებლობით აქაურ ქართველობას გადაგვარებისგან ვიცავო. გადასახლების ვადის დასრულების შემდეგ კიდევ სამი წელი დაუმატეს.' "თითქოს ნელი წამებით სიკვდილი მაქვს მისჯილი და ამ წამების ხანგრძლივ გზას სამ-სამწლიანი სიჩქარით გავდივარ კიდეცო", - წუხდა...

ლევანმა და რამდენიმე ახალგაზრდამ გაქცევა გადაწყვიტეს. გამყოლი იშოვეს, გადალახეს ჭოროხის პირველი მუხლი და ისევ ჩეკისტებს ჩაუცვივდნენ ხელში - თურმე მეგზურს გაეცა.

მძიმედ დაჭრილი ერთი მათგანი წყალში დაიხრჩო, სამი კი თბილისის ციხეში გამოამწყვდიეს. ისევ ციმბირში გადასახლება, ახლა უკვე ხუთი წლით...

ერთხელ ბანაკის პატიმრებს მდინარე ობში ბანაობის ნება მისცეს. წყალმა ლევანი გაალაღა, დიდხანს მიცურავდა, რომ მოიხედა, ნაპირი აღარ ჩანდა. ერთი კი იფიქრა, გადავლახავ მდინარეს და გავიქცევიო, მაგრამ ასე ხომ სამშობლოში დაბრუნების ყოველი იმედი მოესპობოდა. ამიტომაც უკანვე გამოუცურავს. ბანაკში ჰგონებოდათ, ობში დაიხრჩოო, ჩამოეწერათ და მისი ტანსაცმელი სხვისთვის მიეცათ. "ურჩი" პატიმარი ჯერ ერთი კვირა იზოლატორში გამოკეტეს, მერე კი ვიღაცის ჭუჭყიანი ძველმანები მისცეს. მისი ზომის ფეხსაცმელი ვერ იშოვეს და კარგა ხანს ფეხშიშველი დადიოდა.

1935 წლის მარტში ნარიმიდან ახალ ციმბირში, ალტაის მხარის ქალაქ ბიისკში გადაიყვანეს და მარცვლეულის მეურნეობაში გაამწესეს ეკონომისტად. გარემოს შეცვლამ იმედი გაუჩინა - იქნებ ვადაზე ადრე გამომიშვანო, მაგრამ ვინ იცის, ეგებ სჯობდა კიდეც უცხოეთში ყოფნა, რადგან საქართველოში რეპრესიები მძვინვარებდა. პართენ გოთუაც ყოველ წამს ელოდა დაპატიმრებას. მაისის ერთ დღეს პართენი კატასტროფაში მოჰყვა. დაკრძალვაზე მის მეგობარს ნიკო თავდგირიძეს გულთბილი სიტყვა წარმოუთქვამს, რისთვისაც იქვე დაუპატიმრებიათ და უკვალოდ გაუქრიათ...

(გაგრძელება გვ.3)

საქართველოს და ლევან გოთუას ვარამი

(მეორე გვერდიდან)

სექტემბრის ერთ დილას გოთუების სახლის კარს ჩუმად ვიღაც მიადგა და დააკაკუნა. შეშინებულებმა გააღეს კარი და შინ შემოვიდა ახოვანი ვაჟკაცი, ბრგე, ხუჭუჭთმიანი... ეს ხომ ლევანი იყო, დაკაცებული, მრავალჭირგამოვლილი. ძლივს დავბრუნდი სამშობლოში, - ოხრავდა, - ან რას ერჩიან იმ ხალხს, რომელსაც სიცოცხლეზე მეტად სამშობლო უყვარსო. ბევრის თქმაც სწადდა, მაგრამ დედამ პირზე ხელი მიაფარა, კედლისკენ ანიშნა, - მაგასაც ყურები აქვსო.

თბილისში კი ჩამოვიდა, მაგრამ პასპორტი მხოლოდ ათი დღის შემდეგ მისცეს, ჩაწერაზე კი უარი განუცხადეს. იძულებული გახდა, ლუქსემბურგში (დღევანდელ ბოლნისში) გადასულიყო საცხოვრებლად. ამ პერიოდს ლევან გოთუამ თავისი ლიტერატურული აღმავლობის პერიოდი უწოდა. აქ დაამთავრა ორი დრამა: "მეფე ერეკლე" და "ჩაძირული სოფელი". პირველი საკავშირო კონკურსში მონაწილეობისთვის გაგზავნა მოსკოვში. მეორე კი რუსთაველის თეატრში აკაკი ხორავასთან მიიტანა. ხორავას მოეწონა პიესა, მხოლოდ ფინალის შეცვლა მოსთხოვა - არ შეიძლება, თანამედროვე პიესაში მთავარი გმირი იღუპებოდესო. შეურაცხყოფილმა ლევანმა შეჰკადრა: ჩემი სულიერი საზრდოთი და განცდებით მოვაჭრე არასოდეს ვყოფილვარ და არც გავხდებიო! - დასტაცა ხელი პიესას და კარი გამოიჯახუნა...

1938 წელს თბილისში ჩაწერის ნებაც მისცეს. დადგა მშვიდობიანი დღეები. 1941 წელს მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე დაიდგა "მეფე ერეკლე" და ომიც დაიწყო - პატრიოტული სპექტაკლი სრული ანშლაგით მიდიოდა. საოცარი რეცენზიები იბეჭდებოდა, მაგრამ ლევანზე კრინტს არ ძრავდნენ. 1944 წელს მარჯანიშვილის თეატრში დაიდგა მისი მეორე პიესა "უძლეველნი". დაიბეჭდა მისი რამდენიმე ნაწარმოებიც...

ჩეკას აგენტები მაინც არ ასვენებდნენ. 1946 წელს ზურგჩანთაში "ვეფხისტყაოსანი" ჩაიდო და მესხეთ-ჯავახეთისკენ აიღო გეზი. სწორედ იქ დაიჭირეს მესამედ. საეჭვო ვერაფერი უპოვეს, მაგრამ ბრალდების შეთხზვას რა უნდოდა! კვლავ ანტისაბჭოთა ჯგუფის შექმნა დააბრალეს. მასთან ერთად ბევრი მისი მეგობარი გაუყენეს ციხის გზას.

მამაცურად დაუდგა ლევანი განსაცდელს, ჯალათებს სულ მატყუარები და მტარვალები უძახა, დადგება დრო და საბრალდებო სკამზე თქვენ თვითონ მოხვდებითო. შეშინებულ რაფავას, ტირანსა და კაცისმკვლელს, უბღავლია: - ეს არ მოხდებაო! და ლევანის ცემა უბრძანებია. მაინც ვერ გატეხეს, ხელი ვერაფერზე მოაწერინეს. ბოლოს, ათი წლით ვორკუტაში გადაასახლეს. ჩრდილოეთ ყინულოვან ოკეანესთან ახლოს ქვანახშირის საბადო იყო.

40-50 გრადუსი ყინვა, თოვლი, ქარბუქი, შიმშილი, არაადამიანური ყოფა, დამცირება - რა ენამ აღწეროს ის მიწისზედა საზვერეები! ყველაფერთან ერთად, შინ წელიწადში ორიოდ წერილის გაგზავნის უფლებას აძლევდნენ. "ჩემი ნაწერები და ჩემი გმირები ყოველთვის ჩემზე ბედნიერები იყვნენ... არ მშურს! ასეთია ბედის შეუვალობა", - სწერდა ახლობლებს. წერილებიღა იყო მისი ნუგეში. "როცა წერილს ვწერ, თავი საქართველოში მგონიაო", - ოხრავდა. მაღალი ძაბვის ქვესადგურში მუშაობდა მონტიორად და ჩუმად, მალულად წერდა რომანს კახთა მეფე ალექსანდრე II-ზე. ხელნაწერებს მეგობრებს უკითხავდა და სწორედ მათ დაარქვეს ამ წიგნს "გმირთა ვარამი". წიგნი კი დაწერა, მაგრამ ბანაკიდან გამოტანა არ გინდოდა? ჰოდა, ქართველებმა ასეთი რამ მოიფიქრეს: ბანაკის ტერიტორიაზე დაყრილი მორები გამოაფულეროეს და შიგ ნაწერები ფურცელ-ფურცელ ჩადეს, შემდეგ ისევ სათანადოდ დახურეს. ეს მორები კი იქვე, ქალაქში მცხოვრებმა ვალიკო ჭუმბურიძემ იყიდა. ყველა მორი ვალიკოს ეზოში შეგორდა... წიგნი საქართველოში ერთ გათავისუფლებულ ქართველს გამოატანეს. ასე ჩამოაღწია ჩვენამდე "გმირთა ვარამის" ორმა წიგნმა.

ბანაკში ყველას უყვარდა ლევანი, ყველა მას ეკითხებოდა რჩევას. მეგობრები "ლევან ბერს" ეძახდნენ. გოთუა თანამემამულეებს "ჩაპარუსკებას" - ქართულად საუბრისას რუსული სიტყვის თქმას უშლიდა და "ვეფხისტყაოსნის" ერთი სტროფის შესწავლით სჯიდა.

ერთხელ, 1952 წელს, მოულოდნელად, ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე რკინიგზის სადგურზე წაიყვანეს. ეტაპმა ვაი-ვაგლახით ჩააღწია მოსკოვში. ბუტირკის ციხეში ახალთახალი ტანისამოსი ჩააცვეს, წვერი გაჰპარსეს, თმა შეკრიჭეს და ჩეკაში მიიყვანეს, იქ კი... თავისუფლების სანაცვლოდ აგენტობა შესთავაზეს. წამოიჭრა ლევანი, - მე ჩემი ერის გამყიდველი არასოდეს ვყოფილვარ და არც ვიქნებიო და ისევ ვორკუტაში დაბრუნება მოითხოვა. თხოვნა უმალვე შეუსრულეს. გადიოდა წლები და თან მიჰქონდა ახალგაზრდობა. ერთს ნატრობდა მხოლოდ: - ნეტავ ჩემს დაღლილ და დატანჯულ სხეულს ეღირსოს სამშობლოში საკუთარი აკლდამაო.

1953 წელს, სტალინის სიკვდილის შემდეგ, ბანაკში რუსული შოვინიზმი გამეფდა. ამან დიდ გაფიცვას მისცა ბიძგი, მაგრამ სისხლში ჩაახშვეს ეს გაბრძოლება... საგაფიცვო კომიტეტის წევრები დააპატიმრეს და იზოლატორში ჩაამწყვდიეს. საშველი არსაიდან ჩანდა.

ერთხელ ლევანმა თბილისის ლიტერატურის მუზეუმს ფსევდონიმით გამოუგზავნა თავისი პიესა "სამსახეობა რაინდისა". მუზეუმში დიდი ბჭობა გაიმართა. ბოლოს, შეთანხმდნენ, რომ ნაწარმოების ავტორი ვიღაც დიდგვაროვანი, მეფის კარზე გაფუფუნებული ქართველი უნდა ყოფილიყო. მხოლოდ დიმიტრი ბენაშვილს უვარაუდია, - პიესა ლევან გოთუასი არ იყოსო, მაგრამ არავინ დათანხმებია...

მიილია გადასახლების წლები, რომლებიც, როგორც თვითონ ამბობდა, ერთი ადამიანისთვის ბევრზე ბევრი იყო გადასატანად და დაუჯერებელიც... მოსკოვიდან კი არა და არ მოდიოდა გათავისუფლების ბრძანება. და აი, 1955 წლის ზაფხულში ვორკუტის ბანაკები კვლავ გაიფიცნენ. მოსკოვიდან სასწრაფოდ ჩამოვიდა კომისია, რომელსაც გენერალური პროკურორი რუდენკო ხელმძღვანელობდა. დაიწყო პატიმრების საქმეთა განხილვა. კაცმა არ იცოდა, როდის მოუწევდა ლევანს რიგი... ბოლოს, თავი ვეღარ შეიკავა და კომისიის ოთახში შეიჭრა. რუდენკოსთან საუბარმა ორი საათი გასტანა. ლევანის სიტყვებმა მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. გათავისუფლების ბრძანებას იქვე მოაწერეს ხელი. ყოველი მხრიდან შემოეხვივნენ გახარებული ქართველები. რაღა არ უწოდეს: ერისკაცოო, ბერმუხაო, დიდებულო მამულიშვილოო... ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ მის სიყვარულსა და პატივისცემაში.

საქართველოში 1955 წლის აგვისტოში ჩამოაღწია. დასრულდა ოცდაორწლიანი ოდისეა, დაბრუნდა სამშობლოში მრავალჭირნახული, განწმენდილი, ბალღივით სუფთა და მიმტევებელი.

ლევანის გათავისუფლებას მის მსაჯულთა დაპატიმრება მოჰყვა. სასამართლო პროცესზე ლევანმა მიწვევა მიიღო, როგორც მოწმემ, მაგრამ სასტიკი უარი განაცხადა სასამართლოში გამოცხადებაზე, ახალგაზრდები აიყოლია და სულ სხვა მხარეს გასწია - დიდი ხნის ოცნება აისრულა, მყინვარწვერზე, ბეთლემის მღვიმეში ავიდა. მერეც, როცა დაღლილობას იგრძნობდა, მოიკიდებდა ზურგჩანთას და საქართველოს მთა-გორებს მოივლიდა. როგორ გაიხარა, როცა ერთი ასეთი მოგზაურობისას ფხვენისში ლეონტი მროველის წარწერიანი ქვაჯვარი იპოვა!

სიცოცხლის ბოლო ათი წელიწადი არმაზში გაატარა, თავის აგარაკზე. ტკბილეულს მონატრებული ბავშვივით გასცქეროდა მთებსო, - იხსენებენ. სიცოცხლის მიწურულს უკურნებელი სენი შეეყარა. წამლობაზე უარი განაცხადა და ტკივილთა დათმენით წარდგა ღვთის წინაშე, თავის მამა-პაპათა წინაშე. 1973 წელს ძვალთშესალაგიც იქვე, არმაზში პოვა, ქართლოსისა და ფარნავაზის განსასვენებლის ახლოს.

2005 წლის დეკემბერში უწმინდესისა და უნეტარესის, კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორის კურთხევით, ლევან გოთუას ნეშტი მცხეთის სამთავროს დედათა მონასტრის ეზოში დაიკრძალა. ჩვენს სათაყვანო ღირს მამა-დედათა საფლავებს შეემატა წმინდა სამარე მამულისათვის ზვარაკად შეწირული ერისკაცისა, სადაც მივა ალბათ წუთისოფლისგან შეჭირვებული ქართველი, დაიჩოქებს, შესჩივლებს გასაჭირს, შეევედრება და უთუოდ მიიღებს ნუგეშსა და შეწევნას...

* * *

ლევან გოთუას ტეტრალოგია „გმირთა ვარამი“ XVI-XVII საუკუნეების საქართველოს ყოფის ამსახველია. ამ რომანს საბჭოთა რეჟიმის მიერ რეპრესირებული ლევან გოთუა სასჯელის მოხდისას შორეულ ვორკუტაში წერდა და სამშობლოში ნაწილ-ნაწილ ფარულად აგზავნიდა. ქართლის ვაებით გამსჭვალულ წიგნს დღესაც კითხულობენ ახალგაზრდები და ისევ განიცდიან საქართველოს ჭირვარამს, ისტორიული ფაქტების გათვალისწინებით კი ჩვენი ქვეყნის აწმყოსა და მომავლის ანალიზსაც ახდენენ.

მეშვიდე წელია, ასოციაცია „დედოფლისწყაროელი“ (თავმჯდომარე ეთერ ფიცხელაური) სკოლის მოსწავლეებში ატარებს ღონისძიებას „ჩვენ ვკითხულობთ გმირთა ვარამს“... კლუბში ძირითადად, მაღალი კლასისი მოსწავლეები არიან გაწევრიანებული, რათა კარგად შეძლონ წიგნის და იქ მოთხრობილი ისტორიული მოვლენების გააზრება. გაზეთი „შირაქი“ დაინტერესდა, რამდენად აინტერესებს დღევანდელ თაობას წიგნი და რა ფაქტორმა განაპირობა კლუბის წევრების ლევან გოთუას ნაწარმოებით დაინტერესება?

გოგა ცხვედიაშვილი, ზემო მაჩხაანის საჯარო სკოლის X კლასის მოსწავლე: - ***ამ წიგნში კარგადაა მოთხრობილი ქართლ-კახეთის ისტორია, ბევრი საინტერესო ფაქტი გავიგე „გმირთა ვარამიდან“. თავდაპირველად კი, რა თქმა უნდა, სათაურმა დამაინტერესა, რომელიც საკმაოდ დამაინტრიგებელია.***

დიანა წიკლაური, არხილოსკალოს საჯარო სკოლის IXკლასის მოსწავლე: - ***ზოგადად ძალიან მიყვარს ისტორიული წიგნების კითხვა, აქედან გამომდინარე, არც „გმირთა ვარამი“ იყო გამონაკლისი. ჩვენს კლასში ბევრი ბავშვი კითხულობს წიგნს, შემდეგ ერთმანეთს ვუზიარებთ აზრებს და წაკითხულის გააზრებასაც ვახდენთ.***

კვირია პეტრიაშვილი, ზემო ქედის საჯარო სკოლის მოსწავლე: - ***მე არ ვეთანხმები იმ გავრცელებულ აზრს, რომლის თანახმადაც წიგნი კომპიუტერმა ჩაანაცვლა. ვფიქრობ, ეს არასდროს მოხდება, რადგან წიგნს სულ სხვა დატვირთვა აქვს, მისი კითხვისას სულ სხვაგვარი განცდა გეუფლება, კომპიუტერთან ჯდომისას მიღებულისგან აბსოლუტურად განსხვავებული...***

ვუსმენ ახალგაზრდა თაობას და მიხარია, მათ ისევ უყვართ წიგნი და კითხულობენ, ისინი მიუხედავად დიდი ცდუნებისა, არ აჰყვნენ მოდას და გააცნობიერეს, რომ წიგნი ემოციებს და ფანტაზიას გაცილებით მეტად გივითარებს, ვიდრე თანამედროვე ტექნიკა... თუმცა მათ შორის ისეთებიც აღმოჩნდნენ, ვისთვისაც ნაწარმოებების კითხვა ელექტრონულ ფორმატში ბევრად უფრო მოსახერხებელი და მისაღებია...

მე კი ეს წერილი მინდა ჩემი თანაკლასელის მაკა აბულაშვილის ჩანაწერით დავასრულო, რომელიც კარგად ასახავს ჩემი თაობის განცდებს და ვფიქრობ, დღეს კიდევ უფრო აქტუალურია ის თემა, რომელიც მაკამ „გმირთა ვარამის“ წაკითხვის შემდეგ ისტორიულ ჰერეთში სტუმრობისას წამოჭრა. მაკა აბულაშვილი ძალიან ნაადრევად წავიდა ამ ქვეყნიდან და ვფიქრობ, მისი სახით ჩვენმა ქვეყანამ ერთი პატრიოტი და ნიჭიერი ახალგაზრდა დაკარგა. 6 ივნისს მაკას დაბადების დღეა, რომელიც არასოდეს გვავიწყდება მის მეგობრებს.

„გმირთა ვარამის“ გმირების ნაკვალევზე ანუ „ჩემი ჰერეთი“

"გმირთა ვარამის" წაკითხვის შემდეგ დიდი სურვილი გამიჩნდა, მენახა ის ადგილები, რომლებიც ამ ნაწარმოებშია აღწერილი. ჭოქრო პაპა, ქოხსალამურა და ხოსიტა თითქოს ახლაც, ცოცხლად, ალაზნის გაღმა მეგულებიან. დარწმუნებული ვიყავი, თუ კი გრემიდან ძეგამისაკენ მიმავალ გზაზე დამაყენებდნენ, იმ "ტყემლიანსაც" კი ვიცნობდი, რომლის ქვეშ მჯდომარეებიც, "სიტყვის კონის" კითხვაში გართულები, დაიჭირეს ზაზა და მამუკა ლეკებმა.

ამ ნაწარმოების კითხვის საკმაო დროის განმავლობაში ალექსანდრე მეფესა და მარიამ დედოფალთან ერთად ვცხოვრობდი გრემსა და თელავში, კაკსა და ძეგამში. რამდენჯერმე ავედი წახურის მთაზე "წმინდა გიორგში" და ვიმოგზაურე თოვლსა და ყინვაში მოსკოვამდე.

ამხელა ნაწარმოების კითხვისას ისე ხარ ჩართული მათ ცხოვრებაში, თანაც ეს ხდება იმდენხნის განმავლობაში, რომ გიჩნდება სურვილი, ნახო ის ადგილები, სადაც ამ ნაწარმოებში აღწერილი მოვლენები ვითარდებოდა. ჩგრემს, თელავს და მთლიანად კახეთს კარგად ვიცნობდი, ამიტომ მინდოდა გამეცნო ის ადგილები, რომლებიც არ მქონდა ნანახი. მაინტერესებდა ძეგამი, სადაც უდიდესი ბაზრობა იმართებოდა და სადაც ამ ნაწარმოებში აღწერილი გაუგონარი ღალატი განვითარდა, ის საქარავნო-სავაჭრო გზა, გრემიდან აღმოსავლეთით რომ მიემართებოდა, კაკი, ელისენი, წახურის წმინდა გიორგი – "სამოსაზღვრო და სადავო" და სხვა ბევრი აქ აღწერილი ადგილი, მაგრამ გამაოცა იმის გაგებამ, რომ "ჩემი გმირების" სამოქმედო ასპარეზის დიდი ნაწილი საქართველოს ტერიტორია აღარ არის და ამჟამად აზერბაიჯანის ფარგლებშია მოქცეული.

ზემოთ აღნიშნული ადგილები ძირითადად არის კახეთი და დღევანდელი საინგილო – ისტორიული ჰერეთი. ჩემი რაიონი დედოფლისწყაროც ისტორიული ჰერეთის ტერიტორიაა, ამიტომ უფრო დამაინტერესა მისმა წარსულმა. მშობლების დახმარებით რამდენჯერმე ვიყავი ამ ადგილებში, რუკაზე მოვნიშნე "გმირთა ვარამის" სამოქმედო ტერიტორია, შეძლებისდაგვარად შევისწავლე აქ მდებარე ძეგლების წარსული და დღევანდელობა, გავეცანი ზოგიერთ სამეცნიერო ლიტერატურას ამ კუთხის შესახებ და ბევრი გულსატკენი რამ შევიტყე.

სოფლებში ქართულ მოსახლეობასთან შეხვედრებმა, "გმირთა ვარამში" ნახსენებმა კაკელისენის ხილვამ, გამქრალმა ქართულმა სიწმინდეებმა, ქალაქებმა, კახეთის მეფეების ასე ნალოლიავები და ჩვენი გლეხობის ფარითა და მახვილით დაცული მიწის ხილვამ, რომლის საზღვარი იმ დროს, XVI საუკუნის II ნახევარსა და XVII საუკუნის დასაწყისში, "მტკვარსა-მზერზე" გადიოდა, ადვილად გასააზრებელი და შესაგუებელი არ არის. გადავწყვიტე, აღწერა იმისა, რაც მე ვნახე და ზოგიერთ სამეცნიერო წყაროებში ნავიკითხე."

ეს ლექსიც ახალგაზრდის დაუფარავი პირდაპირობით გამჟღავნებული სანუკვარი სურვილია:

ჩემი ჰერეთი

ქართლის მიწავ, ჭველთაძველო,
მიწავ, კახთა საფიცარო,
წინაპართა წმინდა სისხლო, ჩანჩქერებად მომდინარო,
აკაკ-ელისნის ბაღნარებში დეკგმირების ნატერფალო,
დანისლულო მწვერვალებო, ჩემთა ფიქრთა შესადარო,
მოშრიალე წაბლის ტყეო, შენი ზრახვა მეც მამცნეო,
ქურმუხის წმინდა ტაძარო, მარგალიტთა მისათვალო,
ალექსანდრეს ნაკვალევო, კახის ხმალის ნაჭერწკალო,
დღეთა, წელთა სიშორეში, დაუბინდავ, დაუმცხრალო,
წერეთლიანთ საბუდარო, წუთისოფლის სამდურავო,
კაკისთავის ალავერდო, დიდ ალავერდს რა ვავედრო?
რომელ ერთი ჩამოგთვალოთ, ჩემი გულის მონაგლეჯო,
რომელ ერთი გაგიხსენოთ, ჩემი სისხლის მონაწურო?!
არ იკმარა ახჰინძამ და არ იკმარა ბაზალეთმა,
სამსხვერპლოზე ზვარაკს ელის ცხრა ძმისა და ცოტნეს დედა.
გაიღვიძე, წამოდექი, დაიქუხე ისე ძლიერ,
ისე ძლიერ, რომ შენი ხმა მისწვდეს ამერს, მისწვდეს იმერს.
უძველესო, უტურფესო, მრავალ ჯირთა გადამურელო,
ფეხზე დადექ, ხელი მომეც, გულის, დედა საქართველო!

მაკა აბულაშვილი
1990 წელი

ინგა შიოლაშვილი

დაე, მუდამ იყოს მზე

სიტყვებმა, „დაე მუდამ იყოს მზე“, რომელიც დევიზად გასდევდა ამ დღეებში დედოფლისწყაროს მეორე ბაგა-ბაღის მიერ ბავშვთა დაცვის დღისადმი მიძღვნილ მორიგ ღონისძიებას, შოთა რუსთაველის ნათქვამი სიბრძნე გამახსენა,- „მზისა შუქთა ვერ მჭვრეტელი ია ხმების ვარდი ჭნების!“ მართლაც ხომ ასეა, ყველა ადამიანი, ვინც ამ ქვეყნად მოგვავლინა უფალმა, ვმადლობთ, რომ ცის კამარის ქვეშ ერთი პატარა ადგილი გვიკავია და სოფლის დროებით სტუმრებად მიგვიღო. ამ სოფლის ყველაზე დიდი სხივები ჩვენი შვილები, ყველაზე წრფელი არსებები, - ბავშვები არიან. ჩვენს ბედნიერებასაც სწორედ მათგან მიღებული მუხტი, სითბო და სიყვარული აღავსებს. პატარები ალამაზებენ იმ სამყაროს, რომელშიც ვცხოვრობთ. მათთვის არარა იქნებოდა სიცოცხლე თუ არა მზის სხივებით გამთბარი სამყარო. ამიტომაც დამკვიდრდა მზე, როგორც ბავშვების ღიმილიანი და ბედნიერი განწყობის საწყისი. სწორედ მზეს, ღიმილს, ყვავილებს და ცისარტყელებს ხატავდნენ იმ დღეს №2 აღსაზრდელები საბავშვო ბაღის ეზოს ასფალტზე ფერადი ცარცებით, რითაც გამოხატეს თავიანთი შინაგანი განწყობილება და შეგვახედეს მათეულ ზღაპრულ ფიქრებში.

უთვალავი ფერით აჭრელებულ ასფალტზე პატარა ბიჭუნა გამალებით ხატავს, რა არ არის მის ნამუშევარში, თვითმფრინავი, გემი, გემზე დროშა, სახლი, მანქანა და ბოლოში სტაფილოები, იქვე მის სახელსაც ვკითხულობა, -„თო-მა“ აწერია დიდად,- ეს პატარა ბიჭუნა თომა ლომსაძე აღმოჩნდა. გასაუბრებისას მიყვება, რომ ოცნებობს ყველა დღე ლამაზი და მზიანი იყოს. მერე კი, მასწავლებლის დაძახილზე მისკენ გარბის.

მარიამ ხუციანიძემ მორცხვად მაჩვენა საკუთარი ნახატი და ამიხსნა, რომ ეს პეპლები, ჭია-მაია და ყვავილები მისი დახატულია. მარიამის ოცნებაა საქართველოში ყველა ბავშვი ერთად იყოს და ყველა მათგანი იცინოდეს. ნუცა სესიტაშვილმა მართალია ყვავილები და ცისარტყელა დახატა, მაგრამ ოცნებობს ოჯახში მამიკოს იუბილეზე წვეულება რომ ჰქონდათ, ისეთი ბედნიერი დღე კვლავ განმეორდეს მის სახლში. ელენე სესიტაშვილი კი, თურმე მშვიდობიან საქართველოში ცხოვრებაზე ოცნებობს. ვალენტინა ხაჩატურიანმა მზე და ყვავილები დახატა, მისთვის ოცნება არ არსებობს, რადგან რა ოცნებებიც გააჩნია, ყველა დაკმაყოფილებულია, რამდენჯერაც თოჯინა მოითხოვა, იმდენჯერ უყიდა დედიკომ. იყვნენ ისეთი ბავშვებიც, რომლებისთვისაც ლამაზი სახლი და ამ სახლში თოჯინების ყოლა აუხდენელ ოცნებადაა გადაქცეული, რამაც გული მომიკლა.

უფროსი ასაკის აღსაზრდელმა ილია ტოკლიკიშვილმა ჩემთან საუბარში აღნიშნა, რომ მან მზე, ღიმილი, ყვავილი, თვითმფრინავი, მტრედი და თავისი საკუთარი სახლი დახატა. მისი ოცნება ყველა ბავშვის ბედნიერ საქართველოში ცხოვრებაა. ანა ყაზარაშვილს კი, ყვავილები და პეპლები ჰქონდა დახატული, ისიც თავისი ახლობელი ბავშვების სიკეთესა და კარგად ყოფნაზე ოცნებობს.

- „დღევანდელი დღე მართლაც შეუდარებელი აღმოჩნდა, ბავშვებმა ძალიან კარგად გაართვეს თავი დაკისრებულ მოვალეობას, კარგი ნამუშევრები გვაჩვენეს. ეს დღე მათ მეხსიერებაში დარჩება, როგორც ერთი ლამაზი დღე და არაოდეს დაავიწყდებათ. პატარები იმდენად ლამაზი და სათნო არსებები არიან, რომ ჩვენ ვალდებულნი ვართ მათი ყოველი დღე გავალამაზოთ და ისეთი ღირებულებებით აღვზარდოთ, როგორიც ეკადრება ჩვენს ქვეყანას. ადამიანის აღზრდის საძირკველი უპირველეს ყოვლისა ოჯახი და საბავშვო ბაგა-ბაღია, ამიტომ უდიდესი მისია გვაკისრია და ჩვენი კოლექტივი ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ ეს მისია პირნათლად შევასრულოთ. ღონისძიება „დაე მუდამ იყოს მზე,“ ბავშვთა დაცვის დღეს პირველ ივნისს და ბავშვთა კვირეულს უკავშირდება და ჩვენც აქტიურად ჩავებით ამ ციკლში. ორიოდ დღის წინ ჩვენი ბაგა-ბაღის აღსაზრდელებმა ინტელექტუალურ შეჯიბრში „რა? სად? რდის?“ მიიღეს მონაწილეობა და პირველი ადგილი მოვიპოვეთ. შედეგად გამგეობის სკოლამდელი და სკოლისგარეშე აღზრდის სამსახურის უფროსმა მაია ყოჩიაშვილმა გადმოგვცა პირველი ხარისხის დიპლომი, რომელმაც ჩვენს ბაღში საპატიო ადგილი დაიკავა. ამ გამარჯვებით და საბავშვო დღისადმი მიძღვნილი კვირეულებით ძალიან კმაყოფილები ვართ.“-ამბობს ჩვენთან ბაგა-ბაღის დირექტორი მანანა ტოკლიკიშვილი.

ლალი მეხრიშვილი

პატარა ინტელექტუალები სოფელ ოზაანში

იმ დღეს ბავშვთა საერთაშორისო დღის კვირეულის აღსანიშნავად სოფელ ოზაანის საბავშვო ბაგა-ბაღმა გვიმასპინძლა. უნდა აღინიშნოს, რომ სოფელ ოზაანის საბავშვო ბაგა-ბაღის კოლექტივი გამოირჩევა გულთბილი მიღებით და საუკეთესო მასპინძლობით, სწორედ ამიტომ დილიდანვე რაიონის ინტელიგენცია ოზაანის ბაღისკენ სიხარულით იღებს გეზს. ღონისძიებას, რომელსაც კონკურსის სახე აქვს, მთავარი წამყვანები პატარა ინტელექტუალები არიან. მასში ლიდერი ბავშვები იღებდნენ მონაწილეობას, რომლებიც ლექსის თქმის, სიმღერის და ცეკვის საუკეთესო უნარით გამორჩევიან თანატოლებში. ამ ეტაპზე კონკურსი მუნიციპალიტეტის დასავლეთით მდებარე ზონის სოფლების საბავშვო ბაღებს შორის შეჯიბრს ითვალისწინებდა. აქ გახლდნენ ზემო მაჩხაანის, არბოშიკის, მირზაანის, გამარჯვების ბაღის აღსაზრდელები, დირექტორები და პედაგოგები. ღონისძიება ბაღის უფროსი ჯგუფის საკლასო ოთახში გაიმართა, მათი პედაგოგი ქეთევან მეხრიშვილია, როელსაც, თავის მხრივ, კონკურსში საკუთარი რჩეული მოსწავლეები კოხტა თეთრ სამოსში გამოუწყვია. ბერძნული მითოლოგიის თანახმად, გამარჯვების ქალღმერთი ნიკეს სახელწოდება „ნიკე“დაურქმევია ოზაანის ბაგა-ბაღის ბავშვების საკონკურსო ექვსეულისთვის პედაგოგს. სახელწოდება „ნაპერწკალით“ წარმოგვიდგებოდა არბოშიკის საბავშვო ბაღი, „ბაჭიები“ ერქვა მირზაანის გუნდს, „გვირილა“ გამარჯვების, ხოლო „მერცხლები“ ზემო მაჩხაანის გუნდს. აღსაზრდელები ძალიან ლამაზ და ფორმაში იყვნენ გამოწყობილი. რამდენიმე მათგანი ეროვნული ფორმაეცვა და ძალიან შვენოდათ. როგორც მოგახსენეთ, კონკურსანტებს უნდა წარმოედგონათ ერთი ლექსი, სიმღერა, ცეკვა და ინსცენირება. ღონისძიება გახსნილად გამოცხადდა. თითქმის ყველა გუნდი ღირსეულად წარსდგა ჟიურის წინაშე, რომელსაც სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო ცენტრის დირექტორი მაია ყოჩიაშვილი, გამგეობის კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა ამსახურის ხელმძღვანელი თამარ თამაზაშვილი, გამგებლის პირველი მოადგილე სოლომონ ღორაშვილი და გამგეობს პრესსამსაურის უფროსი მარი მგალობლიშვილი წარმოადგენდნენ. ლექსის „ისეთი ბიჭი მოვდივარ!“ წაკითხვისთვის ოზაანის „ნიკეს“ გუნდის წარმომადგენელმა ნიკა გარსენიშვილმა მქუხარე აპლოდისმენტები დაიმსახურა. ძალიან მოგვხიბლა ზემო მაჩხაანის „მერცხლების“ მიერ წარმოდგენილმა ქართულმა ცეკვამ, ასევე აღფრთოვანებული დავრჩით არბოშიკის „ნაპერწკალის“ მიერ წარმოდგენილი სიმღერით და ოზაანის „ნიკეს“ მიერ წარმოდგენილი ცეკვა „კინტაურით“. გაოცებულნი დავრჩით იმდენად კარგად შეასრულეს გამარჯვების ბავშვებმა ინსცენირება მულტფილმიდან „წუნა და წრუწუნა“, ხოლო ოზაანელმა პატარებმა ნიკა მარტყოფლიშვილმა, ბექა მეხრიშვილმა და ბარბარე ხუციშვილმა ვრცლად გაგვიცოცხლეს „მგელისა და კრავის“ იგავი, რომელიც მიუზიკლის სტილში იყო გადაწყვეტილი. საკონკურსო ღონისძიებაზე, რა თქმა უნდა, გამოკვეთილი ლიდერი გუნდი არ დასახელებულა, რადგან მონაწილე ყველა ბავშვი ისედაც გამარჯვებული იყო. დასასრულს, ქალბატონმა მაია ყოჩიაშვილმა თითოეული მონაწილე აღსაზრდელი, ბაგა-ბაღების დირექტორები და პედაგოგები ბავშვთა დაცვის დღისადმი მიძღვნილ კვირეულში მონაწილეობისთვის სიგელებით დააჯილდოვა. ღონისძიებას ესწრებოდნენ სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო ცენტრის წარმომადგენლები და რაიონის ბაგა-ბაღის დირექტორები. ლამაზი შეხვედრა პედაგოგებს შორის აზრის გაზიარებით და მშვნიერი ფურშეტით დასრულდა. პატარა ინტელექტუალებს კი, ერთი ლამაზი და სამახსოვრო დღე დარჩათ თავისი ბავშვობიდან, რომლიდან მიღებული ემოციები დიდხანს, დიდხანს გაჰყვებათ საგზლად.

ლალი მეხრიშვილი

გამოსამშვიდობებელი საღამო მოსწავლე - ახალგაზრდობის სახლში

სასწავლო წლის დასასრულს, 3 ივნისს შემაჯამებელი ღონისძიება მოეწყო მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში. მთელი წლის მანძილზე მათ უამრავი ღონისძიება ჩაატარეს,იზეიმეს ნინოობა, დედამიწის საერთასორისო დღე, საქართველოს დამოუკიდებლობის დღე, მასწავლებელთა დღე, დედის დღე, დედაენის დღე, ინტელექტუალური კონკურსები და კიდევ ვინ მოთვლის ამ თარიღებს, იმდენი ღამაზი დღესასწაული აღნიშნეს ჩვენმა პატარებმა პედაგოგებთან, მშობლებთან და მოწვეულ სტუმრებთან ერთად. წლის დასკვნით ღონისძიებაზე მოსწავლეებმა ერთხელ კიდევ შეახსენეს მოწვეულ სტუმრებს გაწეული შრომის შესახებ და უამრავი სამადლობელი სიტყვა მიუძღვნეს თითოეულ მათგანს:

– „გვინდა, ერთი ღამაზი დღე გაჩუქოთ, მოგეფეროთ, დაგემშვიდობოთ და ზაფხულის ღამაზად გატარება გისურვოთ, რათა ახალი ენერგიით შევხვდეთ მომავალ სასწავლო წელს. ეს წელიწადი კარგი მიღწევებით ჩავამთავრეთ ეთნოგრაფია-მხარეთმცოდნეობის წრის წევრებმა. შემოქმედებით კონფერენციებში ავიღეთ 5 დიპლომი და 5 სიგელი.

– ჩავატარეთ ინტელექტუალური კონკურსები.

– ჩვენმა მოსწავლეებმა ცოდნა გაიღრმავეს მათემატიკაში, რუსულსა და ინგლისურ ენებში.

– რაიონის უამრავმა მოსწავლე-ახალგაზრდამ მიიღო კომპიუტერული განათლება.

– შეიქმნა უამრავი ნიმუში ტრადიციული ხელსაქმის წრის მოსწავლეების მიერ.

– ჩატარდა უამრავი ღონისძიება, რომელსაც მუსიკალურად აფორმებდნენ ხალხური ფოლკლორის წრის მოსწავლეები.” – ამ სიტყვებით დამსწრე საზოგადოებას მოსწავლეებმა ნინი ყოჩიაშვილმა და მარი ბზუკაშვილმა მიმართეს და სანახაობრივად ესთეტიური, შინაარსობრივად თემატური ღონისძიებაც დაიწყო. მასში სულ 35 ბავშვი მონაწილეობდა. რა დატვირთვა აქვს სიტყვა „დედამიწას“, რა არის სამშობლო, რას ნიშნავს ქართველობა, რას ნიშნავს მშვიდობა, ეს იმ კითხვათა არასრული ჩამონათვალია, რომელზეც საგანგებოდ მომზადებულმა მოსწავლეებმა სრული და ამომწურავი პასუხები გასცეს. ითქვა მრავალი ლექსი, შესრულდა მრავალი სიმღერა, რომლებიც, ძირითადად, პატრიოტული ხაზით იყო შერჩეული. აქ მოღვაწე

პედაგოგებმა ზუსტად იციან, რომ საფიცარი სამშობლოს სიყვარული და მისთვის თავდადება მხოლოდ სკოლაში და ოჯახებში არ ისწავლება, ჩვენმა შვილებმა ეს ყოველ წუთს, ყოველ ფეხის ნაბიჯზე, ყოველ სასწავლო დაწესებულებაში თუ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილიდან უნდა მოისმინონ და შეისისხლხორცონ...

ამ დღესაც ბევრჯერ შეჰფიცეს სამშობლოს ერთგულება და თავდადება საბა უზუნაშვილმა, ანა და ცისია გიგაშვილებმა, კახი პოპიაშვილმა, თაზო მანგოშვილმა, თეკლა და ლიკა გიგოლაშვილებმა, გიორგი წიკლაურმა, კატო გვენეტაძემ, მარი ბზუკაშვილმა,ლუკა მენთეშაშვილმა, ნინი ყოჩიაშვილმა, ანი ნასრაშვილმა, თამარ და მარიამ ჯეთერიშვილებმა, მარი შეითნიშვილმა, ნუგო პოპიაშვილმა, გიორგი ლოლაშვილმა, გიორგი ჯამასპიშვილმა, ნანა და ანანო თეთრაულებმა, ანა ოზაშვილმა, ნონა გონაშვილმა, თამთა პაპაშვილმა, ნინო ხეტიშვილმა და სხვებმა.

ღონისძიების ორგანიზატორი გახლდათ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის შემოქმედებითი წრის ხელმძღვანელი და ათეული წლების მანძილზე რაიონის ახალგაზრდობის ინტელექტუალური განვითარების ქომაგი ნინო სიფრაშვილი, რომელმაც დასასრულს სამადლობელი სიტყვით მიმართა დარბაზში მყოფთ:

– ...ჩემო პატარებო, მე მჯერა, რომ თქვენ ღირსეული მამულიშვილები, კარგი ადამიანები გაიზრდებით. გახსოვდეთ- დიდ სიყვარულსაც სწავლა, გათავისება და შესისხლხორცება უნდა.

ყოველივე დიდი პატარიდან იწყება. თითო აგურით შენდება დიდი შენობა... ერთბაშად არაფერი არ ხდება.

მე მჯერა, რომ დღეს, აი აქ, ერთი აგური დავდე, ერთი პაწია წვეთი-სამშობლოს სიყვარულის, ერთმანეთის სიყვარულის მარცვალი ჩავდე თქვენს გულში, სულში, თვალებშიც კი...

მადლობა თქვენ, ბავშვებო, იმ თანაგრძნობისთვის, თქვენს თვალებში რომ დამინახია.

– იმ პატივისცემისათვის, ხანდახან რომ გეზარებოდათ, მაგრამ მაინც ჩემს გვერდით იყავით.

– იმ მეგობრობისთვის, რომელიც ჩვენს შორის არსებობს.

– თქვენ მე დღემდე დიდი ტკივილი გადამატანინეთ, დარდი შემიმსუბუქეთ, ცუდი დამავიწყეთ, ყალბი არაფერი მათქმევინეთ და მაკეთებინეთ, გულში სიყვარული არ გამინელეთ, სულში ხინჯი და ბზარი არ გამიჩინეთ, კეთილად დამაბერეთ.“

მან აგრეთვე მადლობა გადაუხადა გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის წარმომადგენელს ნანული ნატროშვილს განსაკუთრებული მხარდაჭერისთვის სახლის თითოეული წრის მოსწავლეებისა და მისი ხელმძღვანელების მიმართ.

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორმა ირმა ბენაშვილმა დასასრულს შემაჯამებელ - გამოსამშვიდობებელ სიტყვაში კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა მიღწევებს, აღნიშნა, რომ ჩაიბარეს 3 წრე და დღეს აქტიურად ფუნქციონირებს ცხრა სახეობის წრე, მონაწილეობენ კონკურსებში, მოპოვებული აქვთ უამრავი ჯილდო და ახალი სასწავლო წლიდან ახალი ენერგიით კვლავ გააგრძელებენ აქტიურ მუშაობას მოსწავლე-ახალგაზრდებისთვის განსაკუთრებული ხელშეწყობის მოტივით. მან მადლობა გადაუხადა წრეების პედაგოგებს: მაია გაგნიაშვილს, დონარა ჯალიაშვილს, ნინო მეხრიშვილს, თამარ ლაპიაშვილს, ლია ნატროშვილს, შორენა ასანიშვილს, მაყვალა მაძღარაშვილს, მზია ბაშარულს, ნინო სიფრაშვილს და თითოეულ თანამშრომელს ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდების მიმართ გამოვლენილი დიდი სიყვარულისა და ერთგული სამსახურისათვის.

გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსმა თამარ თამაზაშვილმა მადლობა გადაუხადა ღონისძიების მონაწილეებს, ორგანიზატორს, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ხელმძღვანელს საინტერესო და შთამბეჭდავი საღამოს მოწყობისთვის და მათ მიერ გაწეული თავდაუზოგავი, ერთგული მუშაობისათვის.

ელზა ხარაშვილი

საგაზაფხულო ღია კონცერტი ხელოვნების სკოლაში

2 ივნისს, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ხელოვნების სკოლის დარბაზში მორიგი ღია კონცერტი გაიმართა პირველი და მეორე კლასის მოსწავლეთა მონაწილეობით. კონცერტი პრეზენტაციების თანხლებით მიმდინარეობდა. ხელოვნების სკოლის დირექტორის მარიამ კიკილაშვილის ინიციატივით, ეს ინოვაცია უკვე რა ხანია დაინერგა სკოლაში და მისი მეშვეობით, კონცერტები უფრო სახალისო და სასიამოვნო მოსასმენი გახდა. თითოეული მოსწავლე შერჩეულ მელოდიას მისივე ფანტაზიის მეშვეობით ურჩევს ბუნების პეიზაჟს და მსმენელი სანახაობასთან ერთად უკეთ შეიგრძნობს მუსიკის ძალას. ამ დღით 4 პრეზენტაცია იქნა წარმოდგენილი : ჩაიკოვსკის “გედების ტბა”, რომლის პრეზენტატორები გახლდნენ ანა ნასრაშვილი და აკაკი ყოჩიაშვილი, ვივალდის “გაზაფხული” გიორგი და ნიკოლოზ გველუკაშვილების პრეზენტატორობით, “ზამთარი” თეკლა ჯიბღაშვილის მიერ, ხოლო „ევროპული საკრავების“ პრეზენტატორი გახლდათ მარიამ ღორაკუდაშვილი.

სამუსიკო სკოლაში სულ რამდენიმე თვის წინ შემოსულ ბავშვებს დაბნეულობას ვერ შეამჩნევდით. საკუთარ თავში დარწმუნებულები, ისე დამაჯერებლად ისხდნენ ფორტეპიანოსთან და პატარა შეცდომასაც ისე ოსტატურად “გააპარებდნენ” ხოლმე, კარგი მუსიკოსის გარდა, ვერავინ მიხვდებოდა, ისინი ხომ ჯერ ძალიან პატარები არიან, წინ დიდი მომავლით...

პირველ-მეორე კლასელბმა : ნიკოლოზ პაპაშვილმა, მარიამ სულაშვილმა, აკაკი ყოჩიაშვილმა, გვანცა ყავრელიშვილმა, მარიამ ღორაკუდაშვილმა, ილია შეითნიშვილმა, თებრონია ლომსაძემ, გიორგი გველუკაშვილმა, ლუკა თეთვაძემ, ლიზი ზურაშვილმა, ელენე ჩალათაშვილმა, ლიკა ტოკლიკიშვილმა, ლიზი ბუთხუზმა, მაკო კოტაშვილმა, სალომე შალვაშვილმა, ანა ბიკაშვილმა, თამთა პაპაშვილმა, ანა ბეგიაშვილმა, ლანა მენთეშაშვილმა, ნანა აბულაძემ, იოანე შიუკაშვილმა, ნათია ჯანაშვილმა, ლილე ლეკაშვილმა კლასიკური მუსიკის კლასი წარმოგვიდგინეს. მათმა პედაგოგებმა თამილა ნადირაშვილმა, მანანა მაჭარაშვილმა, თამარ კიკილაშვილმა, ხათუნა ფიროსმანაშვილმა, ნინო ალადაშვილმა, დოდო ხუციშვილმა, ოლიკო მუჩიაშვილმა,ლია ხაჩიაშვილმა, ევგენია ხუციშვილმა, ნინო მანჯაფარაშვილმა, მარინა პირზადოვამ, მადლენა ყოჩიაშვილმა, ნინო ნიკვაშვილმა მთელი წელი უდიდესი შრომა გაწიეს, რომ წლის განმავლობაში სხვადასხვა დროს მათ ამ პატარებთან ერთად არაერთი კონცერტი ჩაეტარებინათ და მათთვის არამხოლოდ სასცენო გამოცდილებისთვის ჩაეყარათ საფუძველი, არამედ სამომავლოდ მყარი და ფუნდამენტური მუსიკალური განათლების მისაღებადაც.

პატარა აღსაზრდელების პედაგოგების, მშობლებისა თუ გულშემატკივრების მხურვალე აპლოდისმენტების ფონზე ჩავლილმა კონცერტმა კიდევ ერთი ლამაზი დღე დატოვა ჩვენი შვილების მეხსიერების დაფაზე.

ელზა ხარაშვილი

17 ივნისიდან იაფფასიან სატელევიზიო პაკეტებში თანხა გადასახდელი აღარ იქნება

ალბათ, გახსოვთ, 2000 წლის მოახლოებისას რა მითები ვრცელდებოდა საზოგადოების ნაწილში (არა მხოლოდ საქართველოში), წარღვნა მოხდება და დასრულდება კაცობრიობის ისტორიაო. შემდეგ იყო 2012 წლის 21 დეკემბერი - დედამიწას პლანეტა ნიბირუ უნდა დასჯახებოდა და აღეგავა პირისაგან მიწისა. არაფერიც არ მოხდა და ზოგიერთს, სულო ცოდვილო, გულიც დასწყდა. ადამიანებს უყვართ საკრალურ თარიღებსა თუ რიცხვებთან დაკავშირებით ექსტრაორდინალური მოვლენების წინასწარმეტყველება.

უფრო მცირე მასშტაბით, მაგრამ დაახლოებით ანალოგიური რამ მოხდა 17 ივნისთან დაკავშირებით - ამ დღეს საქართველო ციფრულ მაუწყებლობაზე გადადის. თავიდან ჩვენი თანამოქალაქეების ნაწილს ეგონა, თუ ულტრათანამედროვე ტელევიზორი არ გექნებოდა, ვერც ერთ არხს ვერ უყურებდი. ერთ-ერთ ბირჟაზე პირადად მოვისმინე საუბარი იმის შესახებ, რომ თურმე საქართველოს მთავრობა შეეკრა ტელევიზორების მსოფლიო მაფიას და მრავალჭირნახულ ქართველობაზე ტელევიზორების გასაღებას ცდილობს. შემდეგ ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლასთან დაკავშირებით განმარტებითი კამპანია დაიწყო და ზემოხსენებული ფანტასტიკური ვერსიები აღარ ვრცელდება. თუმცა, მოქალაქეთა ნაწილისთვის ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის დეტალები მაინც ბუნდოვანებით არის მოცული.

არადა, ყველაფერი მარტივად არის -17 ივნისამდე მოქალაქეებმა ერთჯერადად უნდა შეიძინონ სპეციალური რესივერი (თუ სურთ, ამ აპარატს განვადებით შეიძენენ), ან ახალი თაობის ტელევიზორი, რომელსაც ეს მოწყობილობა უკვე ჩამონტაჟებული აქვს და 15 ქართულ არხს უფასოდ და მაღალი ხარისხით უყურებენ. მაგალითად, თუ თქვენ მხოლოდ ქართული არხების ყურება გსურთ, საკაბელო კომპანიებისთვის ფულის გადახდა აღარ მოგიწევთ. თანხის გადახდა მხოლოდ მაშინ დაგჭირდებათ, თუ უცხოური არხების მომხმარებელიც ბრძანდებით.

ეს ინფორმაცია განსაკუთრებით გაახარებს რეგიონში მცხოვრებლებს, სადაც ქართული არხების ყურებაში მონოპოლისტი კომპანიები

ეს ინფორმაცია განსაკუთრებით გაახარებს რეგიონში მცხოვრებლებს

მომხმარებელს თვეში 10 ლარს ახდევინებენ.

გაზეთ "ბანკებისა და ფინანსების" მთავარი რედაქტორი ზურაბ კუკულაძე, რომელიც სატელეკომუნიკაციო ბაზარს იკვლევს, მიიჩნევს, რომ სწორედ ეს აშფოთებს ზოგიერთ კომპანიას და ცდილობს, მომხმარებელი შეცდომაში შეიყვანოს.

- თავდაპირველად, უნდა აღვნიშნო, რომ ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლა მართლაც წინ გადადგმული ნაბიჯია. თუმცა, როგორც ჩანს, ზოგიერთი საკაბელო კომპანია, იმის მაგივრად, რომ თავისი ბიზნესგეგმა ამ სიახლეს მოარგოს, სულ სხვა გზას დაადგა. მაგალითად, "მაგთისატი" დედაქალაქში სხვა კომპანიებს კონკურენციას ვერ უწევს, ამიტომ ის ცდილობს, შედარებით დაბალი ხარისხის მომსახურება რეგიონებში გაყიდოს. 17 ივნისიდან საქართველო ციფრულ მაუწყებლობაზე გადადის, ეს კი აუცილებლად გამოიწვევს "მაგთისატიდან" და ზოგიერთი სხვა კომპანიიდან მომხმარებლების გადინებას, იმიტომ, რომ „მაგთისატის" ყველაზე გაყიდვად პაკეტში მხოლოდ ქართული არხებია, რომელთა ყურება 17 ივნისიდან მაყურებელს უფასოდ შეეძლება და ვინღა გადაუხდის მას თუნდაც 10 ლარს ყოველთვიურად?! ამ ფონზე კომპანიამ "გამოსავალი" იპოვა და სარეკლამო ვიდეორგოლი გაავრცელა, რომლის თანახმად, თურმე, 17 ივნისს თქვენი ტელევიზორი შეიძლება გაითიშოს. ამ ტელეაპოკალიფსური შეტყობინების შემდეგ კი „მაგთისატი" მომხმარებელს საკუთარ მომსახურებას სთავაზობს. 17 ივნისიდან ტელევიზორები კი არ გაითიშება, მაყურებელი ქართული არხების ყურებაში ფულს არც „მაგთისატს" გადაუხდის და არც რომელიმე სხვა საკაბელო კომპანიას. „მაგთისატი" ზემოხსენებული რეკლამით საზოგადოების შეცდომაში შეყვანას და ქაოსის გამოწვევას ცდილობს, რაც სერიოზული დარღვევაა. ჯერ ერთი, ამით ხელი ეშლება უმნიშვნელოვანეს სახელმწიფო რეფორმას და მეორეც - მომხმარებლისთვის არასწორი ინფორმაციის მიწოდება მისი უფლებების დარღვევაა. კომუნიკაციების კომისიამ და ეკონომიკის სამინისტრომ „მაგთის" ქმედებები აუცილებლად უნდა შეისწავლოს. ჯობს, ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლასთან დაკავშირებით, საკაბელო კომპანიებმა ბიზნესგათვლების კორექტირებაზე იფიქრონ, - აცხადებს კუკულაძე.

გაქვთ ტელევიზორი? - მაშინ ეს აუცილებლად უნდა წაიკითხოთ!

სხვათა შორის, კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის მონაცემებით, 2015 წლის 15 იანვრიდან 15 მარტამდე რამდენიმე საკაბელო კომპანიის აბონენტთა რიცხვი შემცირდა. შესაძლოა, ამის ერთ-ერთი მიზეზი ის იყოს, რომ 17 ივნისამდე ციფრული მაუწყებლობა სატესტო რეჟიმში ხორციელდება და ბევრმა აბონენტმა უარი თქვა ფულის გადახდაზე იმაში, რასაც უფასოდაც უყურებს.

- აბონენტების რიცხვის შემცირება ლოგიკურია, რადგან მოსახლეობას ვერავინ შეუზღუდავს უფლებას, ქართულ ტელევიზიებს უფასოდ უყუროს. ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის ერთ-ერთი მთავარი იდეაც ეს არის, - აცხადებს "სტერეო პლუსის" დამფუძნებელი დავით ზილფიმიანი.

რუსუდან ჭელია
გაზეთი „კვირის პალიტრა"

წერილები პირველ მასწავლებელს!

ნათქვამია, „სიტყვები ყვავილებია, საქმე-ნაყოფი." ახლა მე იმ საქმის ნაყოფი უნდა შევამკო ყვავილებით, რომელიც სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლის მეოთხე გ) კლასის პედაგოგს, ქალბატონ ლია ხატიაშვილს შეუქმნია ოთხი წლის მანძილზე. მან ამ დღეებში კიდევ ერთი ლამაზი თაობა დააფრთიანა და გადააბარა ზედა კლასის პედაგოგებს. ერთი შეხედვით აშკარა იყო, რომ პედაგოგს სანიმუშოდ უმუშავია და დიდი სიყვარული ჩაუდვია თავისი მოსწავლეების აღზრდაში, ეს თავად ბავშვების მოწესრიგებულ ჩაცმულობაში და თითოეულ მანერაშიც კი შეიმჩნეოდა. შავ კოსტუმებში და იასამნისფერ ჰალსტუხებში გამოწყობილი, ქოჩორგადაწკეპილი ბიჭები და იებივით იასამნისფერ ატლასის კაბებში ჩაცმული გოგონები ყელს იღერებენ სცენაზე. დასაწყისი ასეთი გახლდათ, ბავშვები ლია მასწავლებლის ავტორობით მათზე დაწერილი ლექსების ფონზე რიგ-რიგობით გამოდიან სცენაზე და ჰაეროვან კოცნას უგზავნიან მაყურებელს. აქ თითოეული მანერა და ჟესტიკულაცია სწორად და თემატურად გააზრებულია და ეს გათვლილი თამაში ორმაგად მომხიბვლელს ხდი პატარებს. ქებისა და ხოტბის გარდა პატარა შენიშვნაც მაქვს, რომელიც ერთადერთი ნიშანი იყო, რასაც ვერაფრით მოვიწონებდი. რამდენიმე გოგონას ყურებზე ძალიან გრძელი საყურეები ეკიდა, რაც, მე ვფიქრობ, მათ ბავშვურ იერსახეს უკარგავდა. პატარას პატარაობა უნდა ეტყობოდეს.

ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ სოფელ ხორნაბუჯის სკოლაში კვლავ გრძელდება ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი ბავშვების სწავლა აღზრდა და მე ამ სკოლაში სწორედ ეს მხიბლავს. ვფიქრობ, თითოეული რუსი ბავშვის აქცენტით წარმოთქმული ქართული ლექსი, ბერძენის ნამღერი მუხამბაზი და სომეხი ბავშვის შესრულებული სახასიათო როლი ბევრად უფრო მეტს მეტყველებს საქართველოს მაღალზნეობრივ ტოლერანტობაზე, ვიდრე ათასი სიტყვით გამონათქვამი თეზისები. იქნებ ამიტომაც არის, რომ ამ სკოლას მე მეგობრობის სკოლას ვეძახი, სადაც ქართველები, რუსები, აზერბაიჯანელები, სომხები, ბერძნები, ბოშები ყველა ერთად სწავლობს და სწავლობენ არა მარტო სკოლის პროგრამას, არამედ ერთჭერქვეშ ყოფნას ურთიერთმეგობრობას, ერთმანეთის სიყვარულს, ერთმანეთისთვის ხელის გამართვას და ეს ყოველივე ისე ლამაზად გამოსდით, როგორც დაუწერელი კანონი.

- „ეს ამბავი ოთხი წლის წინ დაიწყო... შემოდგომის მზიანი დღე იყო. მაღალი და დიდი შენობის ეზოში გაღიმებული ბავშვები მხიარულად დარბოდნენ. დედამ მითხა, ამ ლამაზ შენობაში უნდა შეესახლებინათ ჩვენი თავი, ახლა კი ველოდით პატრონს, რომელიც საკუთარ კლასში შეგვიყვანდა. ლოდინი დიდხანს არ გაგრძლებულა. ღიმილით მოვიდა ქალი, რომელმაც სათითაოდ დაგვკოცნა და ხელი ჩაგვკიდა, ჩვენც სინათლე ჩაგვიდგა თვალებში, სითამამეც მოგვეცა და დედას ხელი გავუშვით. მას შემდეგ გვასწავლიდა, გევფერებოდა, გვათამამებდა და აი, დადგა განშორების დღე... მივდივართ თქვენგან და გპირდებით, ისეთები ვიქნებით, როგორიც გინდოდათ, რომ გამოვსულიყავით... ძვირფასო სტუმრებო დღეს ჩვენ ვეთხოვებით ჩვენს პირველ მასწავლებელს, რომელმაც გაგვზარდა, როგორც საკუთარი შვილები, დაგვდევდა ნაბიჯ-ნაბიჯ, ჩვენთან ერთად თამაშობდა, წერდა, კითხულობდა, სურდა, გვესწავლა მშოლიური ენა, ურთიერთობა და სამშობლოს სიყარული!" - ამბობენ IV^3 კლასის კურსდამთავრებულები სკოლის სცენაზე. ესენი არიან: რამიკ არზუმანიანი, თამარ ბოლაშვილი, სვეტა დავითური, ნიკა დალიბალტიანი, ნიკოლოზ დესიატნიკოვა, სიმონ ზანგელოვი, ალექსანდრე იაკობიშვილი, ანდრეი ივანოვი, ერიკ კლოანი, ნათია ლეკაშვილი, სეველ მამედოვი, დავით მელიქიშვილი, მარიამ საბიაშვილი, ნიკა ღორაშვილი, ნიკოლოზ ჩალახეშაშვილი, ანდრო და ლევან ხალაჩიანები.

„თქვენ შემასწავლეთ მე ანი-ბანი,
თქვენ ამიხილეთ მეორედ თვალი,
იმ თეთრ ფურცელზე ჭირველი ასო,
თქვენ დამიწერეთ ჩემო ძვირფასო,
როს მასწავლებელს ხელი თბილი
და გული ცხელი აქვს

ეს იმას ნიშნავს: „საქართველო უძღეველია!"- წარმოთქვეს ლექსი საკუთარ მასწავლებელზე ბავშვებმა, შემდეგ კი, შეასრულეს სიმღერა, რომელიც ეძღვნებოდა მასწავლებლებს.

ის მოსწავლე რა მოსწავლეა, რომელსაც უკვე დასაწყისშიც კი, თავისებური სიყვარული არ ექნება სამშობლოსადმი, არც ის პედაგოგი გამოდგება პედაგოგად, ვინც პატრიოტიზმით არ განმსჭვალავს საკუარ მოსწავლეებს. ეს მისია პედაგოგ ლია ხატიაშვილს კარგად უტვირთია. მისმა აღსაზრდელებმა ღონისძიებაზე ჯერ კახეთის ყველა რაიონი შემოგვატარეს და ჩვენი საამაყო ადამიანები გაიხსენეს, ჩვენიდან ნიკალა, გურჯაანიდან ნატო ვაჩნაძე, საგარეჯოდან გოგლა ლეონიძე, ყვარლიდან ილია, თელვიდან ერეკლე მეფე, ფშავიდან ვაჟა. შემდეგ კი, სცენიდან მთელი საქართელო გადაგვიშალეს თავისი კუთხეებით, ისტორიით და საამაყო მამულიშვილებით. ერთი პატარა კონცერტით ამდენი სასიქადული მამულიშვილის გახსენება მართლაც სასიამოვნო გახლდათ და თითოეული იქ მყოფის სულში ის გრძნობა გამოაღვიძა, რასაც ქართველობით განცდილი სიამაყე ჰქვია.

„აი, კახეთი, მუხლებმაგარი,
გომბორი მხრებით ცას რომ
მისწვდება,
ივრის ჭირებზე ფრთხილი ვერხვები
და შეთოვლილი მთების შეხება."

- ამბობს ნიკა დალიბალტიანი.

ყველაზე მეტად ამ სიტყვების მოსმენა მესიამოვნა ბავშვებისგან: - „თვითონ თამარ დედოფალს მოუვლია სიყვარულით კახეთის ქალაქები და სოფლები. ამალა გაუყოლებია და ხორნაბუჯის აღმართს შესდგომია. ტყე რომ გაუვლიათ, ერთ მიჩქმალულ მაღლობზე მოხვედრილან. იქიდან ხელის გულივით მოჩანდა მთელი შიდა კახეთი. ზედ მთის წვერზე ქვესკნელიდან კამკამა წყარო ამოჩუხჩუხებდა. დედოფალს თასით შეუსვამს წყალი და დიდი სიყვარულით უთქვამს: ვეჭვობ, ასეთი სასმელი წყალი სხვაგანაც იყოს, ცოდვაა ამისთანა წყალი უსარგებლოდ იღვრებოდეს, იმავე წელს ეს წყაროს წყალი თიხის მილებით მახლობლად მიუყვანიათ და სახელად თამარის სიყვარულით დედოფლისწყარო დაურქმევიათ."

პატარებმა ლექსებით მოიხსენიეს რუსთაველი, აკაკი წერეთელი, ალექსანდრე ყაზბეგი,

წერილები პირველ მასწავლებელს!

ყველა კუთხეს მიაგეს პატივი და ბოლოს მათ გვირგვინს, დედაქალაქ თბილისს მიუძღვნეს სიმღერა. ბიჭუნებმა შეასრულეს ცეკვა „კინტაური“.

დიდი ოვაციები გამოიწვია მაყურებელში ერთ ერთი მოსწავლის მიერ ნამღერმა „მუხამბაზმა“, რომელიც ლია მასწავლებელს მოსწავლეებისთვის ჰქონდა სპეციალურად „ზარმაცი ვარ, მაგრამ ბოლოს გასახელებთ, ვინ გიმღრათ ჩემზე უკეთ ამ სცენაზე?! გენაცვალეთ, მხოლოდ თქვენ ერთს გენაცვალეთ!“

არც პატარა ინსცენირება მოგვაკლეს პატარა მოსწავლეებმა და სკოლის სცენაზე მსახიობური ნიჭიც გამოსცადეს. მათთვის მასწავლებელს კინოფილმებიდან აუღია სცენარი, რომელიც ძალიან მოუხდა იმდღევანდელ განწყობას. ერთი სცენარი კინოფილმ „მანანადან“ იყო აღებული, ხოლო მეორე სცენარი კინოფილმ „სხვისი შვილებიდან“. - ორივე სცენარმა მაყურებლის მოწონება დაიმსახურა. გოგონების მიერ შესრულდა ცეკვა მთიულური, სიმღერები, შემდეგ კი ყველამ ერთად შეასრულა ქალაქური სიმღერები. ბოლოს კი, მოსწავლეებმა დროშების ფონზე საქართველოს უმღერეს:

„საქართველო შენი გული,
სანთელივით უნდა ეხთოს,
მშობელივით საუვარელო,
დედასავით ერთადერთო.“

დასასრულს, ყველა ბავშვმა თავისი წერილი და ყვავილების თაიგული გადასცა პირველ მასწავლებელს წარწერით: „წერილები პირველ მასწავლებელს“. ბავშვებს ოთხი სასწავლო წლის წარმატებით დამთვრება მიულოცა სკოლის დირეტორმა ქალბატონმა ნელი აფციაურმა. ღონისძიებას ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი თამარ თამაზაშვილი და მთავარი სპეციალისტი ამავე დარგში ნანული ნატროშვილი. ფეიერვერკებით დასრულდა ღონისძიება, რომელმაც პედაგოგი, მოსწავლეები და მაყურებელი აატირა. ამით მეოთხე კლასის მოსწავლეებმა ბავშვობის კიდევ ერთი ეტაპი უკან ჩამოიტოვეს, დაემშვიდობნენ ლამაზ დღეებს. ღონისძიების დასასრულს პედაგოგმა ლია ხატიაშვილმა მშობლებისგან და სკოლის პედკოლექტივისგან მოწონების და მადლობის სიტყვები მოისმინა.

ლალი მეხრიშვილი

საქართველოში გავრცელებული დაავადებები, რომლებმაც, შესაძლოა, სერიოზული პრობლემები შეგვიქმნას

ხშირ შემთხვევაში დაავადებებს, რომლებიც ერთი შეხედვით არც ისე რთული და მტკივნეულია, ყურადღებას არ ვაქცევთ. ვფიქრობთ, რომ დროთა განმავლობაში გაივლის, თუმცა შესაძლოა, ყველაფერი პირიქით მოხდეს და ჩვენი აზრით, არც ისე სერიოზულმა დაავადებამ უფრო მძიმე შედეგამდე მიგვიყვანოს.

მტვრევადი, გაფუჭებული თმა, თმის ცვენა, სახეზე და ხელებზე კანის აქერცვლა, ორად გაყოფილი ფრჩხილები — ამ სიმპტომებს ზოგიერთი ყურადღებას არ აქცევს, თუმცა შესაძლოა, ჩვენმა უყურადღებობამ კანის მძიმე დაავადებებამდე მიგვიყვანოს. დერმატო-ვენეროლოგ თინა ქიტუაშვილის თქმით, საქართველოში ყველაზე ხშირად კანის სოკოვანი დაავადებებია გავრცელებული.

“სოკოვანი დაავადებები საკმაოდ ბევრია, განსაკუთრებით ხშირია მოსახლეობის ტერფის მიკოზით ავადობა, რაც ფეხის თითებს შუა ქავილითა და აქერცვლით გამოიხატება. შეიძლება თან სიწითლეც ახლდეს. ზაფხულის პერიოდში ეს დაავადება უფრო მწვავდება და მოჭარბებული ქავილის გამო კანი შეიძლება გაღიზიანდეს და შემაწუხებელი გახდეს. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ტერფის მიკოზი, რომელიც ხანგრძლივად მიმდინარეობს, ფრჩხილზეც ვრცელდება ხოლმე და ფრჩხილის სოკოვან დაზიანებას - “ონიქომიკოზს იწვევს”, - ამბობს დერმატოლოგი და მოსახლეობას ურჩევს, რომ იმ შემთხვევაში, თუ მსგავსი სიმპტომები დროთა განმავლობაში არ გაივლის, ექიმს მიმართონ.

ჩიყვი კონკრეტულ დაავადებას არ გულისხმობს. ეს არის ფარისებრი ჯირკვლის გადიდება, რომელიც უმეტესად ქალებში ვლინდება. ფარისებრი ჯირკვლის დაავადებების სხვადასხვა ფორმა არსებობს, შეიძლება ფარისებრი ჯირკვალი გადიდებული იყოს და დაავადებული იყო, მაგრამ შეიძლება ფარისებრი ჯირკვლის ძალიან რთული ავადმყოფობა გქონდეს, მაგრამ გადიდებული არ იყოს, ანუ არ იყოს ჩიყვი. ჩიყვი ორგანიზმში იოდის დეფიციტით არის გამოწვეული, საქართველო კი იოდდეფიციტთა ქვეყნების ჩამონათვალშია.

ფარისებრი ჯირკვლის ავამდყოფობისასა ზოგიერთ შემთხვევაში გვხდება სპეციფიური გამოვლინება და ზოგიერთ შემთხვევაში ზოგადი ხასიათის გამოვლინება. მაგალითად, ადამიანი, რომელიც წონაში იკლებს, აღენიშნება ოფლიანობა, კანკალი, საერთო სისუსტე, ასეთი რამ ტოქსიკური ჩიყვისთვისაა დამახასიათებელი და შეიძლება პაციენტს სწორედ ეს დაავადება სჭირდეს.

თუმცა, ძალიან ხშირად შეიძლება იყოს ცალკეული სიმპტომები. შეიძლება პაციენტმა წონაში დაიკლო, მაგრამ დაიკლო იმიტომ, რომ საჭმელს ვერ ან არ ჭამს, შეიძლება ოფლიანობა ჰქონდეს, მაგრამ ჰქონდეს იმიტომ, რომ ნერვოზი აქვს, ჰქონდეს გულის აჩქარება, მაგრამ, იმიტომ, რომ აქაც პრობლემა ვეგეტონერვოზი იყოს, ასე რომ, სიმპტომები არის სპეციფიური და არის ზოგადი ხასიათის, თუმცა ასეთი სიმპტომების არსებობის შემთხვევაში ექიმის გამოკვლევა აუცილებელია.

დღეს კონტაქტურ ლინზებს ზოგიერთი სამკურნალო დანიშნულებისთვის იყენებს, ზოგი კი ესთეტიკისთვის. **ლინზების არასწორმა შერჩევამ და ხმარებამ** შესაძლოა, თვალის სერიოზული დაავადება, **კერატიტი** (რქოვანას ანთება) გამოიწვიოს.

ნებისმიერმა პაციენტმა, რომელიც კონტაქტურ ლინზას ატარებს და თვალის მხრივ ჩივილები აქვს, აუცილებელად უნდა მიმართოს ოფთალმოლოგს. ასეთ პაციენტებს შორის საკმაოდ მაღალია რქოვანას დაზიანების ალბათობა და მხედველობის დაქვეითება. თუკი ლინზის სასტერილიზაციო სითხეში ჩადება დაგავიწყდათ და გამოგიშრათ, გადააგდეთ. ლინზების ტარებისას არ არის რეკომენდებული კვამლით გაჟღენთილ, მტვრიან შენობაში ხანგრძლივად ყოფნა, ლინზები უმჯობესია მაკიაჟის წასმამდე მოირგოთ. ლინზების შესანახი კონტეინერი მუდამ სუფთა უნდა იყოს, სასურველია, ის წელიწადში 3-4-ჯერ მაინც გამოცვალოთ.

თანამედროვე მსოფლიოს პრობლემა **ახლომხედველობაა**, რომელიც გენეტიკურთან ერთად შესაძლებელია, შეძენილიც იყოს და თუ ყურადღება დროულად არ მივაქციეთ, მოგვიწიოს ლინზების, სათვალის ტარება ან ამ პრობლემის ქირურგიულად მოგვარება. ოფთალმოლოგი მაია ბერაია, მიოპიის ანუ ახლომხედველობის გამომწვევ მეთოდებსა და პრობლემის გადაწყვეტის გზებზე გვესაუბრა.

“უამრავი რისკ-ფაქტორია, რაც თვალებში მინუსის განვითარებას იწვევს. პირველ რიგში აღსანიშნავია კვება, თუ რას მივირთმევთ, მით უმეტეს, საყურადღებოა ბავშვების კვების რეჟიმი. მათ უნდა მიიღონ ვიტამინიზირებული, კალციუმით მდიდარი საკვები, რომ მინუსის ზრდა შემცირდეს.

დღეს ძალიან ბევრი ადამიანი დროს კომპიუტერთან ატარებს, არ გადის გარეთ ჰაერზე, რაც ძალიან ცუდია. დიდი მნიშვნელობა აქვს იმასაც, რომ როდესაც ადამიანს მიოპია სჭირს, ანუ ახლომხედველია, ვურჩევთ, რომ სახლში კი არ ისხდნენ, გარეთ ისეირნონ ჰაერზე, ესეც კი გარკვეული სახის ვარჯიშია, როდესაც გარემოს უყურებ”, - ამბობს მაია ბერაია.

ყურსასმენების ხშირმა გამოყენებამ, ხმაურიან ადგილებში დიდხანს ყოფნამ შესაძლოა, ყურის სერიოზული პრობლემები შეგიქმნათ და სმენის დაქვეითება გამოიწვიოს. ყურსასმენი იწვევს გარეთა ოტიტებს ანუ სასმენი მილის ინფექციებს, სოკოვან და სტაფილოკოკურ ინფექციებს. შესაძლოა, ყურსასმენების ყოველდღიური ხმარებისას ამას დიდ ყურადღებას არ ვაქცევთ, რადგან საყვარელი მელოდიის მოსმენა გვსიამოვნებს, თუმცა ყურსასმენების ხშირმა გამოყენებამ და რაც მთავარია, მუსიკის მაღალ ხმაზე მოსმენამ შესაძლოა, ცუდ შედეგებამდე მიგვიყვანოს.



ალექსანდრე ტარყაშვილი

იმქვეყნიურ ცხოვრებაში მოგესალმებით აქ შენს იმედად დარჩენილი და შენზე მომლოდინე შენი ოჯახი. 19 წლის პატარა ბიჭი დღეს უკვე ორმოც წელს იზეიმებდი. შეუძლებელია ეს ყველაფერი ცრემლების გარეშე, დარდის ოხვრის და ძაძის გარეშე. როგორ გავძელით შენს გარეშე ამდენი ხანი, რა ძალა გვმართებს საიმისოდ, რომ უშენობა ავიტანეთ სანთლისა და საკმლის მსხვერპლად გაქციეთ და ის ჩამოუხსნელი სურათებიღა გვახსენებს შენს სახეს, გოროზი შუბლით რომ იმზირები. რატომ არ გეძახით „ჩვენო იმედოს“ და რატომ „ჩვენო ტკივილოს“. რად აატირე გული, რატომ გაახუნე ფერები და რად ჩააბნელე კერა.

არა, ამას როგორ დაუშვებდა განგება, აკაშკაშდა, აენთო ნათება და შენს ანთებულ სანთელს პატარა ანუკი ჩააქრობს ახლა, შენი ფუძის ხატებად რომ იქცა. დაბადების დღეს გილოცავთ, აკო.

შენი ოჯახი



მეუღლე ციცო; შვილები: მანანა და გოგიტა ტოკლიკიშვილები. რძალი მარინა თარალოშვილი. შვილიშვილები: ნინო ტოკლიკიშვილი, გაგა და ერეკლე მონიავები; ძმა ოთარ ტოკლიკიშვილი, რძალი მარინა კოხტაშვილი. ძმისშვილები: პაატა, ზურა, ქეთინო, ნინო ტოკლიკიშვილები. ცოლისდები: მზია და სვეტლანა გოისაშვილები. რძლები: ირმა ნატროშვილი და ლია ჩიბუხაშვილი იუწყებიან

ნიკოლოზ არჩილის ძე ტოკლიკიშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 6 ივნისს, ქალაქ დედოფლისწყაროში, შირაქის ქN 73.

ქეთევან ოზბეთელაშვილი, ნინო იაკობიშვილი, გულო გელაშვილი, ლენა ღარიბაშვილი, იზო ლაპიაშვილი, ზეინაბ ნატროშვილი, ნაირა მენთეშაშვილი ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ ციცო ტოკლიკიშვილს მეუღლის, მარი, მანანა და გოგიტა ტოკლიკიშვილებს მამის

ნიკო ტოკლიკიშვილის

გარდაცვალების გამო.

ნათელა თამაზაშვილი ოჯახით სამძიმარს უცხადებს მარინა ხარაშვილს დედის

ელენეს

გარდაცვალების გამო.

ელზა და ელგა ხარაშვილები ოჯახებით სამძიმარს უცხადებენ მარინა ხარაშვილს დედის

ელენეს

გარდაცვალების გამო.

გაზეთ „შირაქის“ რედაქციის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ მარინა ხარაშვილს დედის

ელენეს

გარდაცვალების გამო

სილამაზისა და ჯანმრთელობის მილწევაში დაგეხმარებათ

გსურთ, გქონდეთ სრულყოფილი სხეული და გარშემომყოფები თქვენით აღფრთოვანებას ვერ ფარავდნენ? გინდათ, რომ გარეგნულ სილამაზესთან ერთად ჯანმრთელობაზეც იზრუნოთ? მაშინ მიმართეთ დედოფლისწყაროს სავარჯიშო ცენტრს.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრში ფუნქციონირებს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სავარჯიშო დარბაზი, სადაც მსურველებს ელით ტრენაჟორები, სარბენი ბილიკი, სავარჯიშო ცენტრი, სავარჯიშო ბიცეფსის და პრესის, სავარჯიშო ველოსიპედი, შტანგა თავისი სკამით და დასადგამით, შვედური კედელი.

სავარჯიშო დარბაზში ფუნქციონირებს საშხაპე და გასახდელი ოთახები.

ნებისმიერ მსურველს შეუძლია ესტუმროს დარბაზს როგორც ყოველდღიური გადასახადის გადახდის პრინციპით, ასევე შეიძინოს აბონემენტი სასურველი პაკეტით.

დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრს ან დარეკეთ:

☎ 595 09 05 02;

გვესტუმრეთ, ფასები ხელმისაწვდომია, პირობები კი - თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი. გარწმუნებთ, ჩვენი მომსახურებით კმაყოფილი დარჩებით, სილამაზისა და ჯანმრთელობის შენარჩუნებას კი კარგ სამსახურს გაუწევთ!

ულოცავენ!

მეგი ნანობაშვილს!

გოლოცავთ საიუბილეო თარიღს-65 წლისთავს. გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს. დაე შენმა სიკეთემ, სათნოებამ, გულკეთილობამ გაგიხანგრძლივოს სიცოცხლის წლები. მიუხედავად იმისა, რომ შენ საკუთარი შვილები არ გყავს, ამას არ გაუბოროტებიხარ, პირიქით, ულევ სიყვარულსა და სიხარულს გამოხატავ ჩვენს შვილებზე და შვილიშვილებზე. დაე მრავალი დაბადების დღე გადაგეფურცლოს შენი ცხოვრების კალენდარზე შენს საყვარელ ახლობლებთან ერთად.

დეიდაშვილები: გურამ მოლაშვილი, გივი კაცაძე. **რძლები:** მარინე მოლაშვილი, მარინა გოგილაშვილი, მზიკო ნატროშვილი შვილებითა და შვილიშვილებით.

ანნა (დოდო) ლომიძეს!

ჯერ კიდევ იმ დროს, როდესაც საქართველოში იშვიათად თუ შეხვდებოდით პოლიციელ ქალბატონს, დედოფლისწყაროში გამოჩნდა პატარა, ლამაზი გოგონა, რომელმაც მიზნად დაისახა გამხდარიყო პოლიციელი და ამით მოეხადა მოქალაქეობრივი ვალი თავისი რაიონის წინაშე. მას შემდეგ 40 წელი ერთგულად ემსახურა საქმეს, რომელსაც მამაკაცებიც კი რთულად მიიჩნევენ. ერთხელაც არ უნანია გადაწყვეტილება, ერთი ნაბიჯითაც არასდროს დაუხევია უკან.

მპგ ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ დედოფლისწყაროს რაიონული ორგანიზაცია პირველ დედოფლისწყაროელ პოლიციელ ქალბატონს, ანნა(დოდო) ლომიძეს ულოცავს პოლიციის დღეს, 31 მაისს, უსურვებს ჯანმრთელობასა და დღეგრძელობას.

საყოველთაო სიყვარულით გარემოცულს უფლის წყალობა და მფარველობა არ მოგკლებოდეთ, ქალბატონო დოდო...

პატივისცემით -
მპგ „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ დედოფლისწყაროს რაიონული ორგანიზაციის წევრები.

რევაზ მიშველაძეს!

ბატონო რეზო, დიდი სიყვარულით და პატივისცემით გილოცავთ დაბადების საიუბილეო თარიღს-75 წლის იუბილეს! გისურვებთ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს, ჩვეული ენერგიით აღსავსე ყოფილიყავით და თქვენი მართალი სიტყვით მრავალჯერ შეგეხსენებინოთ ქართული საზოგადოებისთვის მწერლის დანიშნულება.

დედოფლისწყაროს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაცია და გაზეთ „შირაქის“ რედაქცია.

კლუბი „ჩემპიონი“ კვლავ წარმატებით ასპარეზობს

საქართველოს ჩემპიონატზე კიკბოქსინგში დედოფლისწყაროს სპორტულმა კლუბმა „ჩემპიონმა“ (ხელმძღვანელი თამაზ ყარაგვეზაშვილი) წელსაც წარმატებულად იასპარეზა და 7 ჩემპიონის ტიტულითა და ერთი მე-2 საპრიზო ადგილით დაბრუნდა.

საქართველოს 22-ე ჩემპიონატი თბილისში ჩატარდა საქართველოს ტაიბოქსისა და კიკბოქსინგის ფედერაციის ორგანიზებით, მონაწილეობა მიიღო თითქმის ყველა რეგიონის სპორტულმა კლუბმა და გუნდებმა სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფების კიკბოქსინგელებით.

დედოფლისწყაროელმა სპორტსმენებმა ყველა ღონე იხმარეს და თავი არ დაზოგეს წარმატების მოსაპოვებლად.

ჩემპიონები გახდნენ: ლაშა ლეკაშვილი 42 კგ, თორნიკე ლეკაშვილი 45 კგ; ნიკა ფოროსმანაშვილი 60კგ; ლევან წიკლაური 57 კგ; შალვა ხოსტაშვილი 71 კგ; მინდია არაბული 71 კგ (ტაილანდური კრივი) მარიამ კუპრიენკო 54 კგ. მეორე ადგილი: შალვა მოსაშვილი.

აღსანიშნავია, რომ 22-ე ჩემპიონატის საუკეთესო სპოეტსმენად დასახელდა დედოფლისწყაროელი კიკბოქსინგელი ვაჟთა შორის ლევან წიკლაური, ხოლო გოგონათა შორის მარიამ კუპრიენკო. ორივე დაჯილდოვდა პრიზებით. ლევან წიკლაური ასევე დასახელდა საუკეთესოდ, ყველაზე ტექნიკური ბრძოლისთვის.

„სასიხარულოა, რომ აღნიშნულ ჩემპიონატზე დედოფლისწყაროს სახელი განსაკუთრებით ამაყად ჟღერდა.

საქართველოს ტაიბოქსისა და კიკბოქსინგის ფედერაციის პრეზიდენტმა გოჩა ჯავახიამ დედოფლისწყაროს გუნდი „ჩემპიონი“ საქართველოს ლიდერ გუნდად დაასახელა, ეს კი ნამდვილად საამაყოა,“ — განუცხადა „შირაქს“ თამაზ ყარაგვეზაშვილმა.

შეჯიბრი მიმდინარეობდა ოლიმპიური კომიტეტისა და სპორტის სამინისტროს პარტრონაჟით.

ილია მარტყოფლიშვილი

ს ი ა ხ ლ ე !

გაიხსნა ავტოსკოლა დედოფლისწყაროში, 9ძმის ქუჩა N2-ში (მუსიკალური სკოლის წინ). შევასწავლით როგორც თეორიას, ასევე პრაქტიკას მექანიკური და ავტომატური სატრანსპორტო საშუალებებით.
არის სამკვირიანი კურსი თეორიის და პრაქტიკის. შესწავლა გარანტიით.
დაგვიკავშირდით ნომრებზე:
☎ 599 99 48 38, 577 34 55 39

ამინდი — დედოფლისწყარო

	ორშაბათი 08.06	სამშაბათი 09.06	ოთხშაბათი 10.06	ხუთშაბათი 11.06	პარასკევი 12.06	შაბათი 13.06	კვირა 14.06
დღე	18 °	19 °	22 °	24 °	26 °	22 °	21 °
ღამე	16 °	18 °	19 °	23 °	22 °	21 °	19 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ქინქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.

C M Y K